MES 0 22 0000135093

11/02/2022

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 28 იანვარს.**

სხდომის დაწყებამდე საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაწესებულებებს გაეგზავნა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვას.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/88012531241?pwd=NzBWME1nNi9ZT1lZb3dpTm91cDA4dz09

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:**

**ნანა ყუფუნია -** შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარე;
**შორენა ჯაფარიძე -** პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**მაგდა ბოლოთაშვილი -** სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
**გიორგი ხიშტოვანი** - ა(ა)იპ - პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი მიმართულების დირექტორი / საბჭოს წევრი;
**ნინო კაკულია -** სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
**ქრისტინა რზგოევა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
**მარიამ ქუჩულორია -** ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
**ნატალია კვაჭანტირაძე -** საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
**რუსუდან გიგაშვილი -** ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
**დეა აბულაძე -** სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ - კოლეჯი „იბერია“:**
ირაკლი ავალიანი - დირექტორი,
ანა ცუცქირიძე - დირექტორის მოადგილე,
დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,
ლალი ღამბარაშვილი - ხარისხის სპეციალისტი,
ბერიკა უშვერიძე - მატერიალური რესურსების სპეციალისტი,
გიორგი ტაბუცაძე - ვებტექნოლოგიების პროგრამის ხელმძღვანელი,
პარმენ ყიფიანი - შედუღების პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მოდულების მასწავლებელი.

**შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია**
თინათინ მახარაძე - დირექტორი

**შპს ინტერბიზნისის აკადემია**
ნაზო წიბლიაშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

**შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი**
შორენა ხაჭაპურიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

**შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი**
რუსუდან სუხიშვილი - დირექტორი,
სოფიო სუხიშვილი - დირექტორის მოადგილე,
ნინო დვალი - ხარისხის მენეჯერი,
ირინე ბერკაცაშვილი - დენტალური საქმის ასისტირების (სტომატოლოგის ასისტენტი) პროგრამის ხელმძღვანელი,
ივანე ბალახაშვილი - იურისტი

**სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი**
თეიმურაზ ასათიანი - დირექტორი,
ელისაბედ ებრალიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:**
ნანა შარაბიძე,
ირმა ღარიბაშვილი,
თამარ ლომინაძე,

ელენე ბოდაველი,
თამარ ახალაძე,
ელენე კაკაბაძე,
ქეთევან ღვანიძე,
ნანა ხითარიშვილი,
გიორგი ნაჭყეპია,
თამარ რემიშვილი,
ნანა ვერულაშვილი,
ვახტანგ ბოგველიშვილი,
თათია გივიშვილი,
ნინო ვასაძე,
ნინო ჩომახაშვილი,
ირმა მეგრელიძე,
იაზონ დანელია,
მაკო ჯაოშვილი,

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**
1. სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს „შვეიცარიულ აგრარულ სკოლა კავკასიაში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ (ქ. თელავი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის „საექთნო განათლების“ (ქ. თელავი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

8. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგისთვის „დენტალური საქმის ასისტირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
10. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

**1. სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.**
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნანა შარაბიძემ. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 23 დეკემბრის N1408136 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნანა შარაბიძე, წევრი - ირმა ღარიბაშვილი. ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სსიპ - კოლეჯის „იბერია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - კოლეჯის „იბერია“ მიერ წარმოდგენილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტებით (პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამა „შედუღება“, განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები, მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, გაუმჯობესების გეგმა, დაწესებულების სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტები და სხვ.), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის „შედუღება“ დამატების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით დაგეგმა და 30 დეკემბერს განახორციელა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, მოდულების

განმახორციელებელ პირებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სასწავლო სივრცის გადამოწმება და მასში განთავსებული მატერიალური რესურსების, ასევე საბიბლიოთეკო სივრცის და საგანმანათლებლო რესურსების დათვალიერება.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. დაწესებულებამ წარმოადგინა „პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „შედუღების“ (მესამე დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პირველ ეტაპზე დაწესებულება პროგრამაზე მიღებას გამოაცხადებს 15 ადგილზე. ექსპერტი დაეთანხმა აღნიშნულს და შემდეგ ისაუბრა პროგრამის სტანდარტებთან მიმართების შესახებ:
პროგრამა წარმოდგენილი იყო, როგორც მეტწილად შესაბამისი, ვინაიდან მეტწილი შესაბამისობა დადგინდა 2.2 კომპონენტში, ხოლო 2.1, 2.3 და 2.4 კომპონენტებში _ სრული შესაბამისობა.
**2.1.1.1 ქვესტანდარტი** სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ გადაწყვეტილება ,,შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.
**2.1.1.2 ქვესტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება, „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა NIV-100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა“.საგანმანათლებლო პროგრამაზე „შედუღება“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
**2.1.1.3 ქვესტანდარტი** დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ (ბრძ. N19, 28.01.2020 წ). პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.
**2.1.1.4 ქვესტანდარტი** საგანმანათლებლო რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C გარემო. სასწავლო გარემო ნაწილობრივ უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. ხოლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
**2.1.1.5. ქვესტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს.
**2.1.1.6. ქვესტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 27 ოქტომბრის N217 ბრძანებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N129/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,იბერია“ წესდებისა“ და კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.
**2.1.1.7. ქვესტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, არ უჩენს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან და სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით.

**2.1.1.8. ქვესტანდარტი** სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**2.2.1.1 ქვესტანდარტი** ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართება პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდება A, B და C გარემო:

A გარემო - 15 პროფესიულ სტუდენტზე. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, A გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

B გარემო - 15 პროფესიულ სტუდენტზე. აღნიშნული გარემო სრულად არის უზრუნველყოფილი საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.

C გარემო - 15 პროფესიულ სტუდენტზე. სივრცეში მოეწყობა ვენტილაციის ახალი სისტემა, რომელსაც შეუერთდება თითოეული შედუღების დანადგართან დამონტაჟებული გამწოვები. დაწესებულებამ წარმოადგინა შედუღების სასწავლი-საპრაქტიკო სივრცის წერტილოვანი ვენტილაციის პროექტი, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება ახალი ვენტილაციის სისტემის მონტაჟი. გარემოში იატაკი მოპირკეთებულია უწვი მასალით - კერამიკული ფილით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“ (დამტკიცებული 2021 წლის 28 ოქტომბერს N220 ბრძანებით), სადაც გაწერილია ინფორმაცია C გარემოს მატერიალურ - ტექნიკური აღჭურვილობით პროგრამის სრულყოფის შესახებ. სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 4 აპრილი. კოლეჯმა წარმოადგინა ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც მოხდება გარკვეული რესურსის შემენა-გადაცემა. წარმოდგენილია გარკვეული რესურსის მიღება-ჩაბარევის აქტები. კოლეჯმა დაადგინა სტანდარტის მეტწილი შესაბამისობა.

დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული პროგრამის ფარგლებში 3 კომპანიასთან. ინტერვიურება წარიმართა კოლეჯისა და კომპანიების წარმომადგენლებთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია. ექსპერტებმა მოცემული ინდიკატორი შეაფასა როგორც მეტწილი შესაბამისობა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა **შესაბამისობის რეკომენდაცია:**

გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (30.04.22 წ.) დაწებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის მობილიზება.

ასევე აღინიშნა, რომ გეგმით გათვალისწინებულ ვადებში გამოცხადებული იქნება მიღება, ხოლო სწავლის პრცესის დაწყებისათვის სამუშაოები დასრულებული იქნება.

**2.2.1.2 ქვესტანდარტი** პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 8. მათ შორის - 2 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. „შესაბამისობის გეგმაში“ განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება, სტაჟირება და და ტრენინგების საკითხები. დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები შრომის კანონმდებლობის პირობების გათვალისწინებით.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვის შესაბამისად, დაზუსტდა, რომ გადამზადება იგეგმება უშუალოდ პროფესიული ნაწილში.

**2.2.1.3 ქვესტანდარტი** პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტებით მათ უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კომპეტენცია. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია.
**2.2.1.4 ქვესტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმით და ინტერვიურებით. დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-3 მუხლში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი.
ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.
**2.2.1.5 ქვესტანდარტი** პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან განხორციელდა ინტერვიურება. დაწესებულებას სასწავლო რესურსი აქვს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. ინტერვიურებისას დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მოიძიოს „შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში“ მოდულის თემატიკაში განსაზღვრული სასწავლო რესურსი - ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების ქართული ვერსიები.

აღსანიშნავია, რომ „ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე“ მოდულის თემატიკა მოიცავს ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების შესწავლას. მიზანშეწონილია, მოდულის „სასწავლო რესურსების“ პუნქტში მიეთითოს ის მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც მოქმედებს საქართველოში. ექსპერტთა მიერ ვიზუალურად შემოწმდა ბიბლიოთეკა. გარემოში განთავსებულია 2 კომპიუტერი, სამკითხვლო მაგიდები, პრონტერი. კომპიუტერებში აიტვირთება ყველა ელექტრონული სასწავლო რესურსი და პროფესიული სტუდენტს თავისუფალი წვდომა ექნება მათზე.
საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა **შესაბამისობის რეკომენდაცია:**

- მოდულის „ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე“ „სასწავლო რესურსების“ პუნქტში მოდულის თემატიკის შესაბამისად დაკონკრეტდეს ის მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც მოქმედებს საქართველოში;
- მოდული „შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში“ უზრუნველყოფილ იქნეს თემატიკაში გაწერილი ქართულ ენაზე ნათარგმნი სასწავლო რესურსით - ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები.

**2.3.1 ქვესტანდარტი** დადგინდა სრული შესაბამისობა, ვინაიდან პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**2.4.1 ქვესტანდარტი** დადგინდა სრული შესაბამისობა, თუმცა 2.4.1. (3) ინდიკატორთან მიმართებით გაიცა **გაუმჯობესების რეკომენდაცია:**
მოდულების დამხმარე ჩანაწერებში გაწერილია სწავლა/სწავლების მეთოდები - ორიენტირებული სასწავლო ოთახზე/სახელოსნოზე. სასურველია, დაკონკრეტდეს მოდულებში აღნიშნული ჩანაწერი სწავლა/სწავლების მეთოდების მითითებით.
შემდგომ ექსპერტმა საბჭოზე წარადგინა კოლეჯის სასწავლო A, B და C გარემოს ამსახველი ფოტომასალა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ დასკვნის წარდგენის შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს. მან აღნიშნა, რომ ჩატარდა ინტერვიუ ბიბლიოთეკართან და შემოწმდა სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. ამ კუთხით ყურადღების ქვეშ მოექცა მხოლოდ ერთი მოდული. კონკრეტულად ამ მოდულის ფარგლებში („შედუღება ვოლფრამის (TIG) ელექტროდით ინერტულ აირში“) ჩარჩო დოკუმენტში შემოთავაზებული არ არის როგორც სასწავლო რესურსი _ ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები, მაგრამ თავად თემატიკა მოიცავს მოცემულ საკითხებს. აქედან გამომდინარე, გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას ქართულად ნათარგმნი სახით ჰქონდეს ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები. დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ რესურსი უკვე ნათარგმნი აქვს კოლეჯ „ბლექსის“, რომელსაც სხვა დაწესებულებებსაც გადასცემს. შესაბამისაად, ინფორმაციის მიწოდების შემდეგ საკითხი მარტივად მოგვარებადია.
ექსპერტები მიერ მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით, A-C გარემო იყო ერთი სივრცე, თუმცა ვიზიტის პროცესში გაირკვა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით მოხდა გარემოს გაყოფა: A გარემოს დაეთმო 35 კვ.მ., ხოლო C გარემოს 55 კვ.მ. უსაფრთხოება დაცულია, რადგანაც სივრცის გამყოფი ტიხარი ცეცხლგამძლე საღებავით არის დამუშავებული. ექსპერტებმა გამოითხოვეს ვენტილაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია, დაგეგმილია საერთო გამწოვი სისტემის მოწყობა, რომელსაც თითოეული დანადგარი ინდივიდუალურად მიუერთდება.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ფოტომასალაზე წარმოდგენილი სივრცე აუდიტორიასთან მსგავსების გამო C გარემოსთან შეუსაბამოდ მიიჩნია, რის საპასუხოდაც დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ იატაკი მოპირკეთებულია უწვი მასალით, ჭერზე გამოყენებულია ფოლადის, ლითონის მასალა, რომელზეც გამწოვი იქნება მოწყობილი. საკითხთან დაკავშირებით უფრო დეტალურად ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენელმა პარმენ ყიფიანმა. მან დასძინა, რომ გამწოვი სისტემა დამონტაჟებული იყო, თუმცა გადაწყდა, რომ საჭირო იყო მისი გაძლიერება. 15 მსმენელისათვის დადგმული თითოეული მაგიდის თავზე უნდა დაიდგას გამწოვი მოწყობილობა. ჭერის სიმაღლე 3 მეტრზე მეტია, რაც ამის საშუალებას იძლევა, ასევე საკმარისია თითოეულ მსმენელზე გათვალისწინებული 3 კვ.მ. ფართობი, რათა მათ ცალ-ცალკე შეძლონ მუშაობა. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სწავლების განხორციელებისას ერთი მოდულის ფარგლებში შესაძლებელია გამოყენებული იყოს ერთი ან ორი დანადგარი. ასე მცირე რაოდენობის დანადგარების ერთდროული მუშაობა ინდივიდუალური გამწოვის არსებობის პირობებში საფრთხეს არ წარმოადგენს. ამასთანავე, შესაძლებელია დამატებით ბუნებრივი ვენტილაციაც. სხვადასხვა მოდული სხვადასხვა დანადგარის გამოყენებას მოიაზრებს, შესაბამისად, ერთბაშად 3 ან 4 დანადგარი არ იმუშავებს.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროფესიული, დარგობრივი კუთხით გადამზადების საჭიროების წინაპირობებით, გამოწვეული იყო თუ არა ეს პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაციით. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოს ბაზარზე მეტად მოთხოვნადია ელექტრორკალური შედუღების მეთოდი და ძირითადად შედუღების სამუშაოებიც მისი მიხედვით მიმდინარეობს. პერსონალი მაღალკვალიფიციურია, თუმცა სიახლეებისათვის გადახედვა და ტრენინგების მოწყობა დარგის მიმართულებით სასურველია. საქმე ეხება არა სწავლის შედეგების მიღწევას, არამედ გაძლიერებას.
საბჭოს წევრის შორენა ჯაფარიძის მიერ დაისვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა ჩაატაროს, სად უნდა გაიარონ შესაბამისი სტაჟირება და ტრენინგები. დარგის ექსპერტმა

დასძინა, რომ მასწავლებელთა სახლს აქვს გამოცდილება სხვადასხვა მიმართულებით, შორენა ჯაფარიძემ განმართა, რომ ამ ეტაპზე პროფესიული განათლების მიმართულებით აქტივობები, რომელიც ახორციელებდა მასწავლებელთა სახლი წარმოადგენს ახლად შექმნილი პროფესიული უნარების სააგენტოს პრეროგატივას.
ასევე კითხვა დაისვა პარტნიორ კომპანიებთან დაკავშირებით, ვინ გამოხატავს მზაობას დასასაქმებლად. დარგის ექსპერტმა ისაუბრა იმაზე, რომ კონკრეტული პროგრამა საწარმოო პრაქტიკის მოდულს არ მოიცავს. დასაქმების საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ რეგიონში არის რამდენიმე საწარმო, რომლებსაც სჭირდებათ კვალიფიციური სპეციალისტები. აღნიშნული მიმართულებით სპეციალისტების არსებობა დეფიციტურია, მსგავსი პრობლემა არის რეგიონშიც, შეინიშნება კვალიფიციური სპეციალისტების გადინების ტენდენცია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დასძინა, რომ დაწესებულებას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული პროგრამის ფარგლებში 3 კომპანიასთან: შპს „ანი“, შპს „არტი“ და შპს „ჯითი დიზაინ მეტალი“. კომპანიები ვალდებულებას იღებენ სტაჟირება გაატარონ 5 კურსდამთავრებულს, მონაწილეობა მიიღონ აპლიკანტთა შესარჩევ სამოტივაციო გასაუბრებაში, დაამყარონ მუდმივი კომუნიკაცია სწავლების პროცესის მხარდაჭერისთვის.
შემდეგ სიტყვა გადაეცა კოლეჯის წარმომადგენლებს. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გარდა დასახელებული ხელშეკრულებებისა და გაფორმებული მემორანდუმებისა, სამშენებლო კომპანიებს მუდმივად სჭირდებათ სპეციალისტები, რკინა-ბეტონის კონსტრუქციებზე მომუშავე კომპანიები აქტიურად ითხვენ მათ. ასევე, დროთა განმავლობაში ცვლილებები შეიძლება გახდეს საჭირო, ნელ-ნელა გადასვლა შეიძლება მოხდეს ლითონის კონტრუქციებზე. შედუღება უფრო ვიწრო სპეციალობაა, ამიტომ პროგრამაზე მუშაობის დაწყებისას გათვალისწინებული იყო ისიც, რომ აუცილებელია ნახაზის, ესკიზის შედგენის შესწავლა. ყურადღება აქვს დათმობილი პრეზენტირების საკითხსაც, რათა შესრულებული სამუშაოს შესაბამისად წარდგენა შეძლოს პროფესიულ სტუდენტმა. ყურადღება მიექცევა იმას, რომ სტუდენტმა. შეისწავლოს ლითონების კლასიფიკაცია, ქიმიური და მექანიკური თვისებები, რათა შეძლოს დადგენა, თუ რა კონსტრუქციებშია შესაძლებელი მათი გამოყენება. საკუთარი პოზიცია გამოხატა კოლეჯის დირექტორმაც და აღნიშნა, რომ დათქმულ ვადებში შესაბამისი სამუშაოები მოსწრებადია, ასევე მნიშვნელოვანია რეგიონისთვის პროგრამის დამატება დარგში სპეციელისტების დეფიციტის გათვალისწინებით.
საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ ასევე აღნიშნა, რომ მისასალმებელია დაწესებულების მიდგომა, ის ფაქტი, რომ ექსპერტებს მზად დახვდათ შესაბამისობის გეგმა, რომელიც თვითშეფასების ანგარიშში იყო მითითებული. პოზიცია გაიზიარა საბჭოს თავმჯდომარემაც და დასძინა, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანია მსგავსი პრაქტიკის დამკვიდრება, რათა დაწესებულებებს არ შეეშინდეთ თვითშეფასების.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 10**
**წინააღმდეგი: 0**
**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ (ს/კ:212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1).**
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, „შედუღების“ პროგრამაზე 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 30 აპრილიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

**2. სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.**
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნანა შარაბიძემ. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 23 დეკემბრის N1408132 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნანა შარაბიძე, წევრი - თამარ ლომინაძე. ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სსიპ - კოლეჯის „იბერია“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - კოლეჯის „იბერია“ მიერ წარმოდგენილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტებით (პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები“, განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებები, მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, გაუმჯობესების გეგმა, დაწესებულების სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტები და სხვ.), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ დამატების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით დაგეგმა და 30 დეკემბერს განახორციელა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების სასწავლო სივრცის გადამოწმება და მასში განთავსებული მატერიალური რესურსების, ასევე საბიბლიოთეკო სივრცის და საგანმანათლებლო რესურსების დათვალიერება.
პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „ვებტექნოლოგიების“ (მეოთხე დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით.

ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პირველ ეტაპზე დაწესებულება პროგრამაზე მიღებას გამოაცხადებს 15 ადგილზე. ექსპერტი დაეთანხმა აღნიშნულს და შემდეგ კი დეტალურად ისაუბრა პროგრამის სტანდარტებთან მიმართების შესახებ:

პროგრამა წარმოდგენილი იყო, როგორც მეტწილად შესაბამისი, ვინაიდან მეტწილი შესაბამისობა დადგინდა 2.2 კომპონენტში, ხოლო 2.1, 2.3 და 2.4 კომპონენტებში _ სრული შესაბამისობა.

**2.2.1.1. ქვესტანდარტი** დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. დაწესებულებამ წარმოადგინა „პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „ვებტექნოლოგიების“ (მეოთხე დონე) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პირველ ეტაპზე დაწესებულება პროგრამაზე მიღებას გამოაცხადებს 15 ადგილზე.

დისტანციური გასაუბრების დროს განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება, რომლის დროსაც შემოწმდა A/B გარემო (IT პროგრამებში B სასწავლო გარემო წარმოადგენს C გარემოს) მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ვებტექნოლოგიები'' (IV დონე) მიზნებისთვის კოლეჯს განსაზღვრული აქვს თეორიული სწავლებისთვის (A/B გარემო) 36,75 კვ.მ ფართი, სადაც განთავსებულია სასწავლო ინვენტარი (მაგიდა, სკამი, კომპიუტერული ტექნიკა და ა.შ) გათვლილი 15 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამით გავალისწინებული მატერიალურ ტექნიკური რესურსით. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს გაუმჯობესების გეგმა, რომლის მიხედვითაც პროგრამა მატერიალური რესურსით აღიჭურვება შეძენილი იქნება გაუმჯობესების გეგმის მიხედვით მითითებულ ვადაში (30.04.2022წ.)

დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა **მეტწილად უზრუნველყოფილია**.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა **შესაბამისობის რეკომენდაცია:**

გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (30.04.22 წ.) დაწებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის მობილიზება.

**2.2.1.2. ქვესტანდარტი** პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა არის - 17. მათ შორის - 3 არის პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. მოდულების უმრავლესობაზე გათვალისწინებულია მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. „შესაბამისობის გეგმაში“ განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება, სტაჟირება და და ტრენინგების საკითხები. დაწესებულებას პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები შრომის კანონმდებლობის პირობების გათვალისწინებით.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**2.2.1.3. ქვესტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ დამატების მიზნით განაცხადის დანართის „ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ“ მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილი დოკუმენტებით მათ უდასტურდებათ დარგის შესაბამისი კომპეტენცია. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

**2.2.1.4. ქვესტანდარტი** საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმით და ინტერვიურებით. დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-3 მუხლში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კოორდინაციის, განხორციელების, განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცესების ხელმძღვანელობა.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

**2.2.1.5. ქვესტანდარტი** პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან განხორციელდა ინტერვიურება. დაწესებულებას სასწავლო რესურსი აქვს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. ინტერვიურებისას, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შეასწორონ ზოგიერთი ინტერნეტრესურსის მისამართი რადგან მითითებული ლინკები არ იხსნება.

ექსპერტთა მიერ ვიზუალურად შემოწმდა ბიბლიოთეკა. გარემოში განთავსებულია 2 კომპიუტერი, სამკითხვლო მაგიდები, პრინტერი. კომპიუტერებში ატვირთულია ყველა ელექტრონული სასწავლო რესურსი და პროფესიულ სტუდენტებს თავისუფალი წვდომა ექნება მათზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა **შესაბამისობის რეკომენდაცია:**

დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ პროფესიულ მოდულების საგანმანათლებლო რესურსებში მითითებული ინტერნეტ რესურსების ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისთვის.

2.3 და 2.4 სტანდარტებში ყველა კომპონენტთან მიმართებაში არის სრული შესაბამისობა.

შემდგომ ექსპერტმა საბჭოზე წარადგინა კოლეჯის სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ დასკვნის წარდგენის შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს. მან აღნიშნა, რომ გასაუბრება შედგა თითოეული მოდულის განმახორციელებლებთან, გაწეული რეკომენდაციების მიმართ გამოვლინდა მზაობა კოლეჯის წარმომადგენლების მხრიდან. ძირითადად ყურადღება გამახვილდა პრაქტიკული პროექტის მიმართულებაზე. პროექტში არ დევს საწარმოო პრაქტიკა, გაცნობითი პრაქტიკა. ვებმიმართულების ორგანიზაციებთან მართალია, რომ შესაძლებელია სტუდენტების პრაქტიკაზე გაყვანა, თუმცა ამით ვერ მიიღწევა გათვალისწინებული სწავლის შედეგები. შესაძლოა სახლში შესასრულებელი დავალებები მიიღონ, საეჭვოა, რამდენად მოხდება მათი შემოწმებაც. დაგეგმილი პრაქტიკული პროექტის ფარგლებში რეალური პროექტის შესრულება უნდა მოხდეს გუნდური მუშაობით. მოიძიონ პროგრამის ხელმძღვანელებმა ის კომპანიები, რომლებსაც სურვილი ექნებათ უსასყიდლოთ გაუკეთდეს საიტი. ამგვარად, სტუდენტები შეასრულებენ როგორც ტექნიკური დავალებას, ისე რეალურ სივრცეში დადებენ პროდუქტს. პრაქტიკული მუშაობით ერთდროულად შემოწმდება სტუდენტის ცოდნაც და ურთიერთობაც დამკვეთთან, მათ ასევე ექნებათ მზა პორტფოლიო, რაც დარგში დასასაქმებლად მნიშვნელოვანია. ექსპერტის შეფასებით, პედაგოგების მხრიდან მზაობა დიდია და დამაკმაყოფილებელია მათი კვალიფიკაციაც. რესურსებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ორ ცვლაში სტუდენტების მიღების შემთხვევაში გარემო უზრუნველყოფილია. რაც შეეხება

ლიტერატურას, ძირითადად ინტერნეტრესურსებია წარმოდგენილი, რომელთა მისამართები ხშირად იცვლება. დარგის ექსპერტმა გასცა რეკომენდაცია, რომ ხშირად გადამოწმდეს საიტები. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში არის კოლეჯის კუთვნილი ლიტერატურა. სასწავლო გეგმა სრულად იყო წარმოდგენილი და შესაბამისობაშია განსახორციელებელ პროგრამასთან.
შორენა ჯაფარიძემ საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით დასძინა, რომ პროგრამებში ადრე იყო საწარმოო პრაქტიკა, რომელიც ფორმალურად ტარდებოდა. იგი ასევე დაინტერესდა გაცნობითი პრაქტიკით. დარგის ექსპერტმა დააზუსტა, რომ არც გაცნობითი და არც საწარმოო პრაქტიკის მოდული პროგრამაში არ არის.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა კოლეჯის წარმომადგენლებს. მატერიალური რესურსების სპეციალისტმა აღნიშნა, რომ გაუმჯობესების გეგმის მიხედვით მოთხოვნილი მატერიალური რესურსები შეძენილია და არსებობს კოლეჯის ბაზაზე. შესაბამისად, საჭირო აღარ არის მოცემული პროგრამისათვის სამუშაოების დასასრულებლად განსაზღვრული ვადა .
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „იბერიისთვის“ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 10**
**წინააღმდეგი: 0**
**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, **სსიპ - კოლეჯი** „იბერიას“ (ს/კ:212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ვებტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2).**
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, „ვებტექნოლოგიების“ პროგრამაზე 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 30 აპრილიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

**3. შპს „შვეიცარულ აგრარულ სკოლა კავკასიაში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.**
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ელენე ბოდაველმა. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 17 ივნისის N588755 ოქმის, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2021 წლის 26 ნოემბრის MES 8 21 0001273665 ბრძანებით, შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით - ელენე ბოდაველი (ჯგუფის თავმჯდომარ) და თამარ ახალაძე (ჯგუფის წევრი - დარგის ექსპერტი). საგანმანათლებლო პროგრამების - „ფერმერი“ და „რძის პროდუქტების წარმოების“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმებისა და 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორნგის ვიზიტის განხორციელება შპს“ შევიცარიული აგრარული სკოლა კავკასიაში“ (მის. დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარკინეთი).
ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ვიზიტი განახორციელა 15 და 16 დეკემბერს. ვიზიტამდე ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი მასალა, განსაზღვრა დამატებით შესასწავლი დოკუმენტების ნუსხა, შეადგინა და ცენტრის შუამდგომლობით შეათანხმა ვიზიტის დღის წესრიგი.
წინა წარმოების ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამების 2.2 კომპონენტი - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების რესურსი შეფასდა, როგორც მეტწილი, ასევე მეტწილად შეფასდა მე-5 სტანდარტის კომპონენტი 5.1.
წინა ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, დროულად შეასრულოს სტანდარტის შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები - **შესრულდა.**
**5.2.1.1. კომპონენტი** გაიცა რეკომენდაცია პროცესების სრულყოფილად წარმართვის მიზნით დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს დამატებით კომპიუტერული ტექნიკის შეძენა - დამატებითი კომპიუტერული ტექნიკა არ იქნა შეძენილი. დაწესებულების განმარტებით, პერსონალის უმეტესობა და სტუდენტები პირადი კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობენ, შესაბამისად, დაწესებულებას პირველ ეტაპზე შეძენილი ტექნიკის სრული დატვირთვით გამოყენების საჭიროება არ ჰქონია. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს დამატებით ტექნიკის შეძენას. დაწესებულების პოზიცია გაიზიარეს ექსპერტებმაც.
**5.1.1. კომპონენტი** კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობები ახალი აშენებულია. გარემონტებული და აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ნაგებობა რამდენიმე ბლოკისგან შედგება - სასწავლო-ადმინისტრაციული ბლოკი, კამპუსი პროფესიული სტუდენტებისათვის, სასტუმრო, ასევე ყველის ქარხანა და ფერმა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები. დაწესებულებამ წარმოადგინა მის მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრების დამდასტურებელი დოკუმენტაცია (ამონაწერები საჯარო რეესტრიდან). შენობა მოწყობილია გათბობა-გაგრილების სისტემები. ადაპტირებული და ხელმისაწვდომია შშმ პირებისათვის.
ექსპრტთა ჯგუფის დასკვნით, პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.
**5.1.2. კომპონენტი** დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობების მდგრადობის შესახებ. დასკვნის თანახმად, ადმინისტრაციულ-სასწავლო შენობა და ყველის ქარხანა სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის. კოლეჯმა ასევე წარმოადგინა შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული

დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიას შენობა-ნაგებობების და ყველის ქარხნის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შესაბამისობაშია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებთან.
დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის 2021 წლის 1 აპრილის N 14 ბრძანებით დამტკიცებული შპს „შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიას“ შრომის უსაფრთხოების დებულების, საგანგებო რეაგირების შტაბის და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი აქტები, რომლის თანახმადაც, განსაზღვრულია წესრიგის დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ და შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან. საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების შესახებ ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა როგორც პერსონალს, ისე სტუდენტებს და მათ აქვთ შესაბამისი ცოდნა საგანგებო სიტუაციებში მოქცევის შესახებ.
ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.
კომპონენტი სტანდარტის მოთხოვნებს **სრულად შეესაბამება**.
რაც შეეხება II სტანდარტს, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორი მოდულური პროგრამა „ფერერი“ (ზღვრული რაოდენობა 16 პროფესიული სტუდენტი/ აქტიური სტუდენტი 6) და „რძის პროდუქტების წარმოება“ (ზღვრული რაოდენობა 16 პროფესიული სტუდენტი/ აქტიური სტუდენტი 4).
**2.2.1. კომპონენტი** ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის „ფერმერი“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დღეისათვის შპს „შვეიცარიულ აგრარული სკოლა კავკასიას“ გააჩნია მდიდარი ინფრასტრუქტურა: სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით მოწყობილი A და B გარემო, ასევე C გარემო. C გარემო წარმოდგენს ფერმას, შესაბამის ინფრასტრუქტურით და ინვეტარით. ფერმა უზრუნველყოფილია სავალდებულო აღჭურვილობით, თუმცა აღსანიშნავია, რომ ფერმის ტერიტორიაზე დამატებით მიმდინარეობს საწველი სეგმენტისა და რძის შემგროვებელი ოთახის, ასევე სამანიპულაციო ოთახის მოწყობის სამუშაოები. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ხუთ კომპანიასთან: შპს „მარნეული აგრო“, შპს. „ფერმა, არგებელი“, შპს „კუმისი XXI“, შპს „ჩვენი მამული“, შპს „უნივერსალი“.
ხელშეკრულების მიხედვით, თითოეული პარტნიორი კომპანია უზრუნველყოფს არაუმეტეს 15 სტუდენტის სასწავლო პრაქტიკის გატარებას (შენიშვნა: პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა 16 სტუდენტი, დაწესებულება თითო მიღებაზე მიიღებს 8 სტუდენტს, შესაბამისად, პარტნიორი კომპანიის მიერ გათვალისწინებული კვოტა საკმარისია).
დატვირთვა და მასწავლებელთა რაოდენობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. მასწავლებლებს გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია, ყველა მათგანი გადამზადებულია შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კუთხით. დაწესებულება ზრუნავს მათი კომპეტენციის ამაღლებაზე.
საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და შესაძლებელია მისი გამოყენება სასწავლო პროცესში. არის შესაძლებლობა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურეობა. წიგნადი ფონდი, რომელიც მოიცავს როგორც პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო მასალას, ისე დამატებით პროფესიულ ლიტერატურასა და მხატვრულ ლიტერატურას (მცირე რაოდენობით). სასწავლო ლიტერატურის ნაწილი უცხო ენაზეა წარმოდგენილი, ხელმისაწვდომია თარგმანიც.
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით მოწყობილია A და B გარემო (ერთი სივრცეა), ასევე C გარემო. AC გარემო მოწყობილია ყველის ქარხნის ტერიტორიაზე. C გარემო

პროგრამა „ფერმერისათვის'' ფერმის ტერიტორიაზეა განთავსებული, ხოლო „რძის პროდუქტების წარმოებისათვის'' ყველის ქარხნის ტერიტორიაზე.
კომპონენტი სტანდარტის მოთხოვნებს **სრულად შეესაბამება**.
ამ წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ორივე საგანმანათლებლო პროგრამის 2.2 კომპონენტი შეაფასა „სრულ შესაბამისად" შესაბამისად, მეორე სტანდარტი უკვე არის „სრულ შესაბამისობაში, და აგრეთვე 5.1 კომპონენტი შეფასდა „სრულ შესაბამისად".
ექსპერტმა ასევე ისაუბრა საუკეთესო გამოცდილების შესახებ:

1. სოფლის მეურნეობის დარგში წარმატებული ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. ახალი ცოდნის და გამოცდილების მიღების შესაძლებლობა;
2. საუკეთესო პრაქტიკის გავლის შესალებლობა;
3. განსხვავებული სასწავლო და საცხოვრებელი გარემო;
4. კვლევების ჩატარების გამოცდილება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის, სველი წერტილის, ლიფტის, საევუაკუაციო გეგმისა და დაწესებულებაში არსებული სხვადასხვა სივრცისა თუ ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა. მან ასევე დასძინა, რომ დამზადებული პროდუქცია საკმაოდ მაღალი ხარისხისაა და უკვე გაყიდვაშია.
დასკვნის წარდგენის შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს, რომელმაც საბჭოს თავმჯდომარის კითხვის საპასუხოდ დააზუსტა, რომ კედლები და იატაკი დამუშავებულია სპეციალური ზედაპირით, რომლებიც ირეცხება და უძლებს ქიმიური საშუალებით დამუშავებას. საწარმოში დაცულია ყველა საჭირო სტანდარტი როგორც წარმოების, ისე მიმღებ ნაწილში. რესურსებთან დაკავშირებით, არსებული ქართული რესურსი დაწესებულებაში ხელმისაწვდომია, გერმანულენოვანი ლიტერატურის ნაწილი ნათარგმნია ქართულად, ნაწილი თარგმნის პროცესშია.
საკუთარი პოზიცია დააფიქსირია დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა შესრულებულია. ყველის ქარხანასთან დაკავშირებით, დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა HACCP სტანდარტების დაგეგმვა, შემოწმებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ და სასწავლებელი ფლობს პროდუქციის გაყიდვის უფლებას.
საბჭოს წევრები დაინტერესდნენ პროგრამაზე სტუდენტების მცირე რაოდენობით, აღნიშნულის გამომწვევი მიზეზებითა და დაწესებულების სამომავლო გეგმებით. დაისვა კითხვა - ხომ არ იყო ეს გამოწვეული სწავლების მაღალი საფასურით. დაწესებულების წარმომადგენელმა დასძინა, რომ განსაზღვრული იყო 16 სტუდენტი ჯამში, 8-8 თითოეულ მიმართულებაზე. ვინაიდან პირველ წელია როგორც სწავლების, ისე საწარმოო კუთხით, ფიქრობდნენ მიღებულ სტუდენტთა რაოდენობას 10-ის ფარგლებში. ყველის ქარხანამ პირველად აგვისტოში დაიწყო წარმოება, ფერმაც ახალი ჩაშვებულია და დაწეესებულების მხრიდან იყო სურვილი თითოეულ სტუდენტზე კონცენტრირება მომხდარიყო ინდივიდუალურად. მეორე მხრივ, ავტორიზაცია დაწესებულებამ მიიღო ივნისში, ივლისში უკვე მიღება განხორციელდა, რაც მცირე დრო იყო აქტიური კამპანიის წარმოებისათვის, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში. თავისი როლი ითამაშა ცნობადობის საკითხმაც. გადასახადის ნაწილში თანხა მოიცავს საცხოვრებელ ხარჯებს, კვებას, სასწავლო მასალას, ტრანსპორტს. ცხობრობენ სასწავლებლის ტერიტორიაზე და უზრუნველყოფილნი არიან ყველა საჭირო რესურსით. გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათებიც. საშემოდგომო მიღებაზე მეტი სტუდენტის მიღებაა დაგეგმილი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „შვეიცარულ აგრარულ სკოლა კავკასიაში" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

საბჭოს წევრმა გიორგი ხიშტოვანმა საბჭოს სხდომა დატოვა 15:03 საათზე, შესაბამისად,

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 9**
**წინააღმდეგი: 0**
**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს „შვეიცარულ აგრარულ სკოლა კავკასიაში“ (ს/კ:404550525) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**4. შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.**
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ელენე კაკაბაძემ. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25.11.2021 N 1268098 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - ელენე კაკაბაძე, წევრი - ქეთევან ღვანიძე. ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მიმდინარე წლის 6 და 7 დეკემბერს, „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ემუხლისმე-2 პუნქტისბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით ვიზიტის განახორციელება შპს ინტერბიზნესის აკადემიაში. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს - ინტერბიზნესის აკადემიის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 28 ოქტომბერს წარმოდგენილი განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით, „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. 2021წლის 6, 7 დეკემბერს განხორციელდა ვიზიტი შპს ინტერბიზნესის აკადემიაში. ვიზიტი წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით წარიმართა. იტერვიუ შედგა აკადემიის ადმინისტრაციასთან, პროგრამის განმახორციელებლებთან და პარტინორებთან.
პროგრამის სახელწოდებაა „სკოლამდელი აღზრდა“, პროფესიული განათლების დონე არის მეხუთე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია _ უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში, განხორციელების ენა _ ქართული, განხორციელების ადგილი _ ქ. თბილისი შალვა ჯაფარიძის ქ. N8, განხორციელების ფორმა _ მოდულური, კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის _ 116, კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის _ 146.

წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 20 პროფესიულ სტუდენტზე. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული აუდიტორიების გადამოწმება, აღმოჩნდა,რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ორი A გარემო,#401 და #503 აუდიტორიები, თითოეული აღჭურვილია საჭირო რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ დაწესებულებას მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 40 პროფესიულ სტუდენტზე, 2 კომპიუტერი, 2 დაფა, 2 პროექტორი, 2 კომბაინი, 2 ფლიპჩარტი და 2 პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯს სურს 40 სტუდენტის დამატება (ერთ ცვლაში).

საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ქ. თბილისის ა(ა)იპ #9 (28.09.2021წ. - დან 31.12.2026 წ-მდე- #03-08) და #197 (04.10.2021 წ.-დან 31.12.2026 წ.-მდე. – #03-10) საბავშვო ბაგა-ბაღებთან. პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელთან გასაუბრებისა და აღნიშნული დაწესებულების გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ორგანიზაცია მზადაა ერთდროულად მიიღოს 20 პროფესიული სტუდენტი, გააცნოს მათ დაწესებულების შინაგანაწესი და ქცევის წესები, მოახდინოს მათი გადანაწილება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, სადაც პროფესიული სტუდენტებს საშუალება ექნებათ დააკვირდნენ ყველა ასკის სკოლამდელ აღსაზრდელს, შეისწავლონ მათი ასაკობრივი თავისებურებები, გაეცნონ შესაბამისი ჯგუფის დღის წესრიგსა და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს. პარტნიორი ორგანიზაცია - საბავშვო ბაგა-ბაღში ფუნქციონირებს 12 სააღმზრდელო ჯგუფი და დაკომპლექტებულია ყველა საჭირო კვალიფიციური კადრით, როგორიცაა სასწავლო პროგრამების კოორდინატორი, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი, ლოგოპედი და ა.შ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 23 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 14 პროფესიული მოდულის, ხოლო 9 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირი. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების პროფესიული განათლების განმახორციელებელ პირებს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული პიროვნებები დაკავებულ პოზიციაზე შეირჩნენ კვცალიფიკაციისა და მათი სამუშაო გამოცდილების შესაბამისად. ყველა მათგანს აქვს პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ პროფესიაში. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეულ მასწავლებლებს არ აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება, თუმცა დაწესებულების თქმით მუდმივად მიმდინარეობს მათი დატრენინგება, როგორც კოლეჯის სასწავლო პროცესისსა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის, ასევე კოლეჯის უკვე გამოცდილი პროფესიული მასწავლებლების მიერ. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განმახორციელებელთა პირადი საქმე, რითაც დადასტურდა აკადემიის მიერ შერჩეული პროფესიული მასწავლებლების გამოცდილება და კვალიფიკაცია.

პროგრამა შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი, ვინაიდან ხარვეზები არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, არ გაცემულა რეკომენდაციები.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრაქტიკის ობიექტების ამსახველი ფოტომასალა.

დასკვნის წარდგენის შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს, რომელმაც აღნიშნა, რომ პერსონალი ნამდვილად კვალიფიციურია, მხოლოდ მოდულური სწავლების გამოცდილება არ აქვთ, თუმცა ამ კუთხით მიმდინარეობს აქტიური გადამაზდების პროცესი.

საკუთარი პოზიცია დააფიქსირა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან ისაუბრა პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით და დასძინა, რომ ყველა მასწავლებელი ჩართულია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 9**
**წინააღმდეგი: 0**
**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ინტერბიზნესის აკადემიას(ს/კ:201990881) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სკოლამდელი აღზრდის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3).**

**5. შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.**
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნანა ხითარიშვილმა. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 9 21 0001268095 ბრძანების (25.11.2021) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნანა ხითარიშვილი, წევრი - გიორგი ნაჭყეპია. ჯგუფს დაევალა „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის-პროგრამის

სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფს ასევე დაევალა განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ბ.ბ) კომპონენტის შემოწმება. ჯგუფმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ (შემდგომში დაწესებულების) მიერ წარმოდგენილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვებტექნოლოგიები“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ, განისაზღვრა ვიზიტისას დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დღის წესრიგი. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიების“ ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები, გაესაუბრნენ პროფესიული საგანამანათლებლო მოდულის განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს, შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. შემოწმდა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკაში არსებული, პროგრამით გათვალისწინებული, წიგნადი ფონდი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული წარმოდგენილ დასკვნაში. შემოწმებული დოკუმენტაციის და განხორციელებული ვიზიტის საფუძველზე ავტორიზაციის დებულების მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი ექსპერტების მიერ შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის არა 24 ადგილით, არამედ 12-ით გაზრდის შემთხვევში.
ექსპერტმა ფოტომასალის საშუალებით წარმოადგინა A და B გარემო. A გარემოში არის 20 ადგილი პროფესიული სტუდენტისთვის, განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო მაგიდა, სკამი, ლეპტოპი, ეკრანი და დაფა. B გარემო აღჭურვილია პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი მონაცემებისა და რაოდენობის 12 კომპიუტერით (1 პროფესიულ სტუდენტზე ერთი კომპიუტერი), მასწავლებლის მაგიდითა და ლეპტოპით, პროექტორით, პრინტერით. რადგანაც ვებტექნოლოგიების პროგრამისთვის გამოყოფილი B გარემო არის გათვლილი 12 პროფესიულ სტუდენტზე, კვოტის გაზრდის შემთხვევაში (36 პროფესიული სტუდენტი) დაწესებულებას მოუწევს B გარემოს სამ ცვლაში გამოყენება. წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით მე-19 დან 26 სასწავლო კვირის ჩათვლით B გარემოს საკონტაქტო საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე არის 28 საათი (გრაფიკული გამოსახულების შექმნა-დამუშავება 12 სთ და ვებ გვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება JAVASCRIPT 16 სთ) სამი ცვლის შემთხვევაში B გარემოს კვირეული საათობრივი დატვირთვა შეადგენს 84 საათს, ასევე 28-32 სასწავლო კვირას B გარემოს საკონტაქტო საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე შეადგენს 28 საკონტაქტო საათს (ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით 8 სთ, ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) 12 სთ, ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) 8 სთ) სამ ცვლაში გამოდის 84 საათი კვირეული დატვირთვა, 33-ე და 34-ე სასწავლო კვირას B გარემოს საკონტაქტო საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე შეადგენს 36 საკონტაქტო საათს (ვებგვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით 8 სთ, ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) 12 სთ, ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) 8 სთ) ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით 8 სთ ) რაც სამ ცვლაში შეადგენს 108 სთ, ასევე 35-36 სასწავლო კვირაში B გარემოს საკონტაქტო საათობრივი დატვირთვა ერთ ჯგუფზე შეადგენს 36 საკონტაქტო საათს (ვებგვერდის მართვის სისტემების (CMS) 12 სთ, ვექტორული გამოსახულების დამუშავება (Adobe Illustrator) 12 სთ) ვებგვერდის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება Angular-ის საშუალებით 12 სთ) რაც სამ ცვლაში შეადგენს 108 საათს. დაწესებულებას მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით

აღნიშნულ სასწავლო კვირეებში B გარემო უზრუნველყოფს მაქსიმუმ პროფესიულ სტუდენტთა 2 ჯგუფის გამტარიანობას დღეში (ექვს დღიანი სასწავლო კვირის შემთხვევაში) რაც ჯამში შეადგენს 24 პროფესიულ სტუდენტს.
პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების და სასწავლო გეგმის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობაა 20 პროფესიული მასწავლებელი (მათ შორის ზოგადი მოდულები _ 13 პროფესიული მასწავლებელი და 9 პროფესიულ მოდულზე 6 პროფესიული მასწავლებელი). პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეულ პირს გააჩნია დარგის შესაბამისი კომპეტენცია.
საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა და ვებტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა. დადგინდა, რომ ისინი ინახება დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით და ასევე ელექტრონული სახით თავისუფალი წვდომის რეჟიმში განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვებტექნოლოგიების საგანამანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი. ბიუჯეტი შემუშავებულია როგორც საბიუჯეტო, ასევე არსაბიუჯეტო მიღებისთვის, განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი ორივე შემთხვევაში, გაწერილია შემოსავლის და ხარჯის ჩამონათვალი. ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამის ვებტექნოლოგიების ბიუჯეტით გაწერილი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა.
ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი სრულად შესაბამისია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის არა 24 ადგილით, არამედ 12-ით გაზრდის შემთხვევში.
შემდგომ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს, რომელმაც აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამის ხელმძღვანელი მაღალკვალიფიციურია და ასევე თავადაც არის დარგის ექსპერტი. პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა მათი როგორც სასწავლო, ისე პრაქტიკული გამოცდილება. დაწესებულებას კარგი ვებგვერდი აქვს და მისასალმებელია, რომ პორტალი ღიაა ყველასთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა დაეფიქსირებინა პოზიცია. ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ისაუბრა სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის გადაწყვეტილების შესახებ, რაც განპირობებული იყო პროგრამაზე დიდი მოთხოვნითა და სტუდენტთა არჩევის სირთულით. დაწესებულება იმედოვნებდა, რომ მიღებული იქნებოდა ბრძანება მიდგომებზე დისტანციური სწავლებისა და შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, იყო სურვილი დისტანციურად განსახორციელებელი მოდულების არსებობისა, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა. სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით მნიშნელოვანი საკითხებზე გაამახვილა ყურადღება პროგრამის ხელმძღვანელმა და აღნიშნა, რომ ვებტექნოლოგიები ძალიან მოთხოვნადი დარგია, არის რვა დარგობრივი მოდული, რომელთაგან თითოეული ხორციელდება დისტანციურად და წარმოადგენს პრაქტიკულ პროექტს. ასევე, შედეგი ბევრად კარგია დისტანციური სწავლების შემთხვევაში, ვიდრე ადგილზე. პროგრამა მნიშვნელოვანია თვითდასაქმების თვალსაზრისითაც, არის ფრილანსერ საიტები. უცხოური კომპანიები ქირაობენ ქართველ სტუდენტებს, თანამშრომლებს, ხოლო მათ შორის თანამშრომლობა მიმდინარეობს დისტანციურად. B გარემო მართალია ვერ ატარებს მოთხოვნილი რაოდენობით სტუდენტებს, მაგრამ A და სხვა არადარგობრივი გარემო აკმაყოფილებს მოთხოვნებს. რაც შეეხება B გარემოს, სწავლება ამჟამადაც ონლაინ

მიმდინარეობს და მსგავს რეჟიმში იგეგმება სწავლის გაგრძელება. რეგიონები მსგავს პროგრამას ვერ ახორციელებენ ადგილზე დარგობრივი პედაგოგების არ ყოლის გამო და დისტანციური სწავლება რეგიონის კოლეჯებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ამ ადამიანური რესურსით.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს პროგრამის ხელმძღვანელის შეხედულება და გამოთქვეს სურვილი დარგის სპეციფიკაზე მორგებული მოქნილი პრაქტიკის შემუშავებისა და სტანდარტების გადამუშავებისა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.
საბჭოს წევრმა ნატალია კვაჭანტირაძემ საბჭოს სხდომა დატოვა 15:54 საათზე და დაუბრუნდა 16:54 საათზე, შესაბამისად, კენჭისყრის შედეგები ასეთია:

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 8**
**წინააღმდეგი: 0**
**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ინტერბიზნესის აკადემიას(ს/კ:201990881) დანართით განსაზღვრულ **„ვებტექნოლოგიების“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 24 -ით **(დანართი 4).**

**6. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელისთვის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ (ქ. თელავი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.**
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ რემიშვილმა. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 12.11.2021 N1218623 ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფმა მიმდინარე წლის 3 დეკემბერს განახორციელა ვიზიტი ქ. თელავში შპს "საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში” (შემდგომში კოლეჯი) „ფარმაციის (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დღის განრიგი, რომელიც გადაეგზავნა კოლეჯს და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტიექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოდულების განმახორციელებელ პირებს, პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და განიხილეს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ექსპერტების მიერ შემოწმდა კოლეჯის მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი წიგნადი ფონდი, შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება და განხორციელდა მათთან გასაუბრება პლატფორმა zoom-ის მეშვეობით.

პროგრამის სახელწოდებაა ფარმაცია (სააფთიაქო), პროფესიული განათლების დონე _ მეხუთე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია _ უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში, განხორციელების ენა _ ქართული, განხორციელების ადგილი _ ქ. თელავი, ლესელიძის ქ. N1, განხორციელების ფორმა _ მოდულური, სტუდენტთა ზღვრული რეოდენობა _ 40, კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის _ 123, კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის _ 153.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:

**2.2.1.3.** დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს პერმანენტულად ჩაუტარდეთ ტრენინგები კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებების მიმართულებით;

**2.2.1.1.** კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტებთან, რომლის ფარგლებშიც შპს „გეფა“-ს სააფთიაქო ქსელი იღებს ვალდებულებას პროგრამით გათვალისწინებული 8 პროფესიული მოდულის პრაქტიკული ნაწილის განხორციელებას.

დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, ხელშეკრულებები გააფორმონ სხვა ფარმაცევტულ კომპანიებთანაც კახეთში პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით;

**2.4.1.5** დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია შეთანმებას თან დაერთოს მატერიალური რესურსის ჩამონათვალი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 20 ერთ მიღებაზე და 20 მეორე მიღებაზე, სულ 40 პროფესიული სტუდენტი. ხელშეკრულებაში ასევე მიეთითოს კონკრეტული მოდულის რომელი სწავლის შედეგი ხონხორციელდება პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორთან;

ასევე, გასწორდეს უზუსტობა დოკუმენტში „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება“ გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა და თანმაშრომელთა მოვალეობებიდან წაიშალოს „პროგრამული აკრედიტაციისათვის თვითშეფასების პროცესის განხორციელება“.

ქ. თელავის განყოფილებაში საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამის (შემდგომში პროგრამა) დამატებასთან დაკავშირებით შპს „საზოგადოებრივი კოლეჯის ფანასკერტელის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით - „მიზანშეწონილობის დასაბუთება საგანმანათლებლო პროგრამისათვის - ფარმაცია (სააფთიაქო)“ და ასევე კოლეჯის ადმინისტრაციასთან განხორციელებული გასაუბრების შედეგებით დგინდება, რომ ისინი დაეყრდნენ 2018 წელს კოლეჯის მიერ ჩატარებულ კვლევას. აღნიშნული კვლევა ეფუძნება რაოდენობრივი მონაცემების მეორად ანალიზს და გამოყენებული იყო ავტორიტეტული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები. კვლევაში საუბარია ეროვნულ

და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კვალიფიცირებული სპეციალისტების მზარდ მოთხოვნილებაზე ფარმაცევტული მრეწველობის განვითარებისა და მზარდი ფარმაცევტული ბაზრის პირობებში, პროგრამის მნიშვნელობაზე, მიზანზე და როლზე ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების სფეროში. თელავის განყოფილებაში საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცის (სააფთიაქო) განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების ერთ-ერთ არგუმენტად კოლეჯის წარმომადგენლები ასახელებენ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელს (90%) წინამორბედი პროგრამის „ფარმაცევტის თანაშემწის“ ფარგლებში, ასევე ქ. თელავის განყოფილების ადამიანური რესურსის მზაობას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად, საზოგადოების მხრიდან მაღალ ინტერესს, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა მატერიალური რესურსის არსებობას და შესაბამის პრაქტიკის ობიექტებთან (შპს „გეფა“) გაფორმებულ მემორანდუმს/შეთანხმებას.

პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A და C გარემო. B გარემოს დატვირთვა მოდის მხოლოდ სამ პროფესიულ პროგრამაზე: საექთნო განათლება, აღმზრდელი და ფარმაცია დამატების შემთხვევაში. პროგრამაზე „საექთნო განათლება“ წარმოების დროს 84 პროფესიული სტუდენტი სწავლობს, პროგრამაზე “აღმზრდელი“ 21 პროფესიული სტუდენტი, ექსპერტთა შეფასებით პროგრამის „ფარმაციის“(სააფთიაქო) დამატების შემთხვევაში B გარემო უზრუნველყოფს სამივე პროგრამის შესაბამისი მოდულების განხორციელებას.

შპს „გეფა“იღებს ვალდებულებას, სასწავლო პროცესის განსახორციელებლად პროგრამის ფარგლებში მოემსახუროს კოლეჯის 200 პროფესიულ სტუდენტს. კახეთის რეგიონში აქვს 12 აფთიაქი, 12 აფთიაქიდან სასწავლო პროცესში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ 9 აფთიაქი. მითითებული აფთიაქები სტუდენტებს მიიღებენ 2 ცვლაში. 1 ცვლაში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა არის 2, ერთი აფთიაქი 1 სტუდენტზე მეტს ვერ მიიღებს (ევექსის კლინიკის შენობაში მდებარე აფთიაქი მცირე ფართის გამო), ჯამში 34 პროფესიული სტუდენტი.

ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია - 4 (ოთხი) განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა არ აღემატება შრომის კანონმდებლობით დადგენილ ნორმას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას. მოდულის განმახორციელებელი სსსმ და შშმ პირს, იდენტიფიცირებული საჭიროების გათვალისწინებით, უდგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია პირის განსხვავებული მოთხოვნები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირებისთვის სწავლას-სწავლების, შეფასების, სასწავლო ინსტრუქციების, საგანმანათლებლო რესურსების ადაპტაციას, სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, რათა პირი შეუფერხებლად იქნას ჩართული საგანმანათლებლო პროცესში.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს და კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული 2021 წლის 30 ოქტომბრის N6529 ბრძანებით შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის“ შეფასების სისტემის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად დაწესებულებას შემუშავებული აქვს და კოლეჯის ვებგვერდზეა განთავსებული 2020-2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას, რომელიც ასევე გაწერილია დროში. კოლეჯის მიერ შექმნილი დოკუმენტით

„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ განსაზღვრულია ვერიფიკაციის ჯგუფის ძირითადი ამოცანები, ვერიფიკაციის მიმართულებები და გაწერილია ძირითადი ეტაპები, რომლებიც მოიცავს: ვერიფიკაციის გეგმის შედგენას, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევას, განხილვის ორგანიზებას, ფაქტობრივ გარემობებზე შეთანხმებას და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენას. დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალისა და ნედლეულის გამოყენების და ნარჩენების მართვის წესი, რაც შეესაბამება მოქმედ ნორმატიულ აქტებს და სრულად აღწერს ქიმიური და ფარმაცევტული ნარჩენების დამუშავების სპეციალურ მეთოდებს და გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამის დაწესებულებასთან, რომელიც ახდენს ნარჩენების უტილიზაციას.ექსპერტთა შეფასებით C გარემოში მოთავსებულია ცეცხლმაქრი, გაკრულია ლაბორატორიაში მუშაობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები სხვადასხვა ცხრილები და ტოქსიურ და აალებად ნივთიერებებთან მუშაობის წესები და სურათები. C გარემოში არსებული გამწოვი მოწყობილობა უზრუნველყოფს სტუდენტისა და პროფესიული მასწავლებლის მინიმალურ უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსით. პრაქტიკის ობიექტი უზრუნვეყოფილია მატერიალური რესურსით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის, 20 ერთ მიღებაზე და 20 მეორე მიღებაზე, სულ 40 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დარგის ექსპერტს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ყავს კვალიფიკაციური კადრები, თუმცა მიზანშეწონილად მიიჩნიეს რეკომენდაცია გაეცათ ტრენინგების გავლის შესახებ, ვინაიდან ზოგიერთი პროფესიული მოდული ფარმაციაში მოითხოვს ქიმიკოს-ფარმაცევტის ან ფარმაცევტის კვალიფიკაციას, ქიმიკოსის შემთხვევაში პირი უნდა ფლობდეს შესაბამის გამოცდილებას. 2 პედაგოგი იყო ასეთი და დაწესებულებამ წარმოადგინა ცნობები იმის შესახებ, რომ ისინი ნამდვილად ახორციელებდნენ მოცემულ მოდულს უმაღლეს დაწესებულებაში. გავითვალისწინეთ ის გარემოება, რომ თელავს დიდი ხანია ფარმაციის ფაკულტეტი აღარ აქვს, ასევე პროფესიულ განათლებას სხვაგვარი სპეციფიკისაა, რამაც განაპირობა გადაწყვეტილება რეკომენდაციის გაცემის თაობაზე. დაწესებულება ფლობს მდიდარ სასწავლო რესურსს როგორც მატერიალური სახით, ისე ელექტრონულად. საჭირო რესურსებით ასევე უზრუნველყოფილია C გარემო. რაც შეეხება პრაქტიკის გავლას, პარტნიორი კომპანიის გარდა თელავში არის სხვა აფთიაქები, რომლებთანაც შესაძლებელია თანამშრომლობა, თუმცა სტუდენტთა მოცემული რაოდენობისთვის შპს „გეფა“-ს მიერ წარმოდგენილი 9 აფთიაქი სრულიად საკმარისია (თითო მიღებაზე 20 პროფესიული სტუდენტის მიღების შემთხვევაში).

პოზიცია დააფიქსირა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და დასძინა, რომ დაწესებულება ადრე ახორციელებდა ფარმაცევტის თანაშემწის პროგრამას, მაღალი იყო სტუდენტების დასაქმების დონე კახეთის რეგიონში. პროგრამის დამატების შესახებ გადაწყვეტილება განაპირობა დიდმა მოთხოვნამ.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელისთვის ქალაქ თელავში „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე: 8**
**წინააღმდეგი: 0**
**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს (ს/კ:202066405) მიენიჭოს უფლება ქალაქ თელავში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 5).**

**7. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელისთვის „საექთნო განათლების“ (ქ. თელავი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.**
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ვახტანგ ბოგველიშვილმა. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 9 ნოემბრის #1203261 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ვახტანგ ბოგველიშვილი, წევრი - თათია გივიშვილი, დაევალა შპს "საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში" საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შემოწმება. ამ მიზნით, 2021 წლის 3 დეკემბერს შედგა ვიზიტი შპს "საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში" (მის: ქ. თელავი, ლესელიძის ქ. #1).
პროგრამის სახელწოდებაა „საექთნო განათლება“, პროფესიული განათლების დონე - მეხუთე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია _ უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში, განხორციელების ენა _ ქართული, განხორციელების ფორმა _ მოდულური, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით _ 118 სტუდენტი, კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის _ 180, კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის _ 210.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 15 ივნისის #576708 გადაწყვეტილების საფუძველზე, დაწესებულებას აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქ. თელავში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 88-ით. ამ წარმოების ფარგლებში შპს „საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს“ სურს აღნიშნული რაოდენობა გაზარდოს 30 პროფესიული სტუდენტით. ექსპერტთა ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა ყველა იმ გარემოების შესწავლა, რაც უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (88 პროფესიული სტუდენტი) 30 პროფესიული სტუდენტით გაზრდის შემთხვევაში (118 პროფესიული სტუდენტი) დაწესებულების შესაძლებლობების დადგენასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასებას. ამისთვის ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის თელავის განყოფილებაში ადმინისტრაციული თანამშრომლების კომპეტენცია და სამუშაო აღწერილობები; საგანმანათლებლო პროგრამის მართვის სპეციფიკა; პროგრამის განხორციელების პირობები კოლეჯში: აუდიტორიები, ადგილების რაოდენობა, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი; პროგრამის განხორციელების პირობები კლინიკური პრაქტიკის ობიექტებზე: მათი შესაძლებლობები (განყოფილებები, პროფესიულ სტუდენტთა მიღების შესაძლებლობები, „საექთნო განათლების“ მოდულური პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ცოდნა).

კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და მომსახურების უზრუნველსაყოფად, როგორც თბილისის, ასევე თელავის განყოფილებაში შექმნილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. თელავის განყოფილების სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: თელავის განყოფილების მენეჯერი, სასწავლო პროცესის სამსახურის სპეციალისტი, ხარისხის მართვის სპეციალისტი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკარი, დამხმარე პერსონალი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის მიზნით, კოლეჯმა ჩაატარა მოკვლევა (მიზანშეწონილობის დასაბუთება) კახეთის რეგიონში. წლებია, რაც დაწესებულება ქ. თელავის განყოფილებაში ახორციელებს საექთნო განათლების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. მათი განცხადებით, ამ პროგრამაზე სწავლის მსურველთა მიმართვიანობა დღემდე მაღალია. იგი განპირობებულია დამსაქმებლების მიერ გამოცხადებული ვაკანტური ადგილების რაოდენობითა და რეგიონში დასაქმებულთა სტატისტიკით. კოლეჯმა მოიკვლია გასულ წლებში (2019-2020 წ.წ.) კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლები, გამოიკითხა 37 კურსდამთავრებული და გამოიკვეთა შემდეგი სურათი: 2019 წლის კურსდამთავრებულთაგან (12 პროფესიული სტუდენტი) 100% დასაქმებულია, ხოლო 2020 წლის კურსდამთავრებულთაგან (19 პროფესიული სტუდენტი) დასაქმებულია 95%. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამაც განაპირობა ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული ოდენობის გაზრდის საჭიროება, ეს არის სწორედ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. კახეთის რეგიონში თითქმის არ არსებობს სამედიცინო დაწესებულება, რომელშიც დასაქმებული არ არის აღნიშნული კოლეჯის კურსდამთავრებული. მოკვლევის თანახმად, კახეთის რეგიონში 9 (ცხრა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს პროფესიულ პროგრამებს. აღნიშნულთაგან, საექთნო განათლების პროგრამის განხორციელების უფლება მოპოვებული არცერთს არ აქვს. ამასთანავე, ქ. თელავის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს ამ პროგრამის მიმზიდველობას მეზობელი რაიონებიდან სწავლის მსურველთათვის. აღსანიშნავია, რომ კახეთში მოქმედი 17 სამედიცინო დაწესებულებიდან 9 ქ. თელავში მდებარეობს. რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს რეგიონში პროფესიონალი ექთნების საჭიროებას.

კოლეჯმა ხელშეკრულება გააფორმა დამატებით ერთ პრაქტიკის ობიექტთან - შპს „თელავის რაიონული საავადმყოფო“, ობიექტი მზაობას გამოთქვამს მიიღოს 140 პროფესიული სტუდენტი. საექთნო განათლების პროგრამის განსახორციელებლად, ქ. თელავის ფართზე კოლეჯმა დაამატა კიდევ ერთი A სასწავლო გარემო და ამჟამად სწავლებისთვის

ხელმისაწვდომია სამი A გარემო: A-1 (36 ადგილი), A-2 (30 ადგილი), A-3 (34 ადგილი). კოლეჯმა დამატებით გააფორმა ხელშეკრულება 9 პროფესიულ მასწავლებელთან. აღსანიშნავია, რომ თითოეული პროფესიული მოდულისთვის გათვალისწინებულია მასწავლებლების ორმაგი ოდენობა, პროგრამის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით.

შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ:

**2.2.1.1** კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია კლინიკური პრაქტიკის დაწყებამდე განახორციელონ კლინიკური პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული პირების ტრენინგი მოდულური პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების შეფასების მიმართულებებით; - კოლეჯის წარმომადგენლის განცხადებით, კლინიკური პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული პირებიდან ორი ამავე კოლეჯის მასწავლებელია. შესაბამისად, მათთვის უცხო არაა პროგრამის განხორციელებისა თუ შეფასების მეთოდები. კლინიკური პრაქტიკის სხვა განმახორციელებლებისთვის კი მოხდება მათი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება;

**2.2.1.1** დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტებში მითითებული ჩანაწერები შესაბამისობაში მოიყვანოს მოქმედ კანონქვემდებარე აქტებთან: დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის (შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, მუხლი 55) განსაზღვრის საფუძვლად მითითებულია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების ძალადაკარგული დოკუმენტიდან ამოღებული მუხლები; - შესრულებულია;

**2.2.1.2** კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია ადმინისტრაციის თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში და სამუშაო აღწერილობაში განსაზღვროს რა დრო ეთმობა ადმინისტრაციულ საქმიანობას და რა დრო სასწავლო პროცესში, როგორც მოდულის განმახორციელებელი პირის ჩართულობას. - შესრულებულია.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ფოტომასალის საშუალებით წარუდგინა სასწავლო გარემო.

დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ მოდულების: კლინიკური პრაქტიკა - „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - „ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“ განხორციელების მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომ ქ. თელავში მხოლოდ ახლა იგეგმება ფსიქიატრიული კლინიკის გახსნა და სხვა ალტერნატივა არ არსებობს, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ქ. თბილისში, შპს „ფსიქიატრიული ჯანმრთელობისა და ნარკომანიის ცენტრთან“. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია 90 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა ერთდროულად. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ცხრილში ნათლად ჩანს, რომ თბილისისა და თელავის პროფესიულისტუდენტები სხვადასხვა სასწავლო კვირების განმავლობაში გაივლიან აღნიშნულ ბაზაზე პრაქტიკას და არ მოხდება მათი გადაფარვა. კლინიკასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, კლინიკა იღებს ვალდებულებას 7 პროფესიულ სტუდენტზე გამოყოს ერთი ექთანი. იმის გათვალისწინებით, რომ კლინიკას ჰყავს 6 ექთანი ერთ ცვლაში, მას შეუძლია მიიღოს მაქსიმუმ 42 სტუდენტი დღეში. სტუდენტების გადაადგილებას უზრუნველყოფს თავად სასწავლებელი. გასაუბრება მოხდა პედაგოგებთან და იმ კლინიკებთან, სადაც მოდულებს გაივლიან სტუდენტები. კადრების კვალიფიკაცია დასტურდება გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტებით, არიან დარგში მოქმედი პრაქტიკოსები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს. მან აღნიშნა, რომ ფარმაციისგან განსხვავებით, რომელშიც წყვეტა იყო ძველ საგნობრივ და ახალ მოდულურ პროგრამას შორის, საექთნო საქმეში ასე არ ყოფილა. როდესაც პროგრამა განიცდიდა მოდიფიცირებას, მუდმივად ხორციელდებოდა პროგრამა თელავში. პერსონალი არა მარტო ცოდნით გამოირჩევა, არამედ იმითაც, რომ მოქმედი სპეციალისტები არიან, მუშაობენ კლინიკებში. რაოდენობიდან გამომდინარე დაწესებულებამ საჭიროდ მიიჩნია ახალი პრაქტიკის ობიექტების დამატება. მოლაპარაკებები მიმდინარეობს ევექსთან, ითხოვენ

სტუდენტების პრაქტიკაზე გაგზავნას მათთან, ვინაიდან ბევრი ვაკანტური ადგილი აქვთ და საჭიროებენ კადრებს.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელისთვის ქალაქ თელავში „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 8**
**წინააღმდეგი: 0**
**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს (ს/კ:202066405)დანართით განსაზღვრულ „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ქალაქ თელავში გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 118 -ით **(დანა რთი 6).**

**8. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგისთვის „დენტალური საქმის ასისტირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.**
აბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ვასაძემ. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის N 1277506 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრი - ნინო ჩომახაშვილი, დაევალა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში მიმდინარე წლის 8 და 9 დეკემბერს, "დენტალური საქმის ასისტირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწე სებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით ვიზიტი დაწესებულებაში. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული

გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ. პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება განხორციელდა ზუმის საშუალებით. თითოეული კლინიკა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვენტარით, რაც გათვალისწინებული იყო ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმითა და ხელშეკრულებებით.

პროგრამის სახელწოდებაა დენტალური საქმის ასისტირება(სტომატოლოგის ასისტენტი), პროფესიული განათლების დონე _ მეოთხე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია _ საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში, განხორციელების ფორმა _ მდულური, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა _ 40, კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის _ 85, კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის _ 115.

სტანდარტებთან მიმართებაში, მეორე სტანდარტის ყველა ინდიკატორი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

გაიცა რეკომენდაციები:

**2.1.1.1** რეკომენდირებულია, პროგრამის განხორცილების მიზანშეწონილობის დოკუმენტი მოიცავდეს ინფორმაციას და სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე შედეგებს ჩატარებული კვლევის შესახებ (პასუხისმგებელი პირი, განხორციელების ვადები, გამოყენებული ინსტრუმენტი, მონაწილეთა რაოდენობა და ა.შ.).

**2.2.1.2** რეკომენდირებულია, მეტი მდგრადობისთვის დაწესებულებამ მოიძიოს კიდევ ერთი პროფესიული მასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფს ქირურგიის ასისტირება 2-ის პრაქტიკული მოდულის განხორციელებას.

**2.2.1.3** რეკომენდირებულია, პირებს, რომლებსაც გაუფორმდა ხელშეკრულებები ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდეთ ტრენინგები სტუდენტთა შეფასების კომპონენტსა და მოდულური სწავლების თავისებურებებთან დაკავშირებით.

**2.2.1.4** რეკომენდირებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის გადამზადება ინდ. გეგმებთან, სტუდენტთა შეფასებასა და მოდულურ სწავლებასთან დაკავშირებით.

**2.3.1.1** რეკომენდირებულია, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით პასუხისმგებელი პირები გაეცნონ საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს, ასახონ მიღებული შედეგები კვლევაში და იხელმძღვანელონ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისას.

**2.4.1.1** დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სასწავლო პროცესის ან/და კოლეჯის მარეგულირებელი დებულებით ზუსტად განსაზღვროს სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი.

**2.4.1.4** რეკომენდირებულია, გაჩნდეს ზუსტი ჩანაწერი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში რა ვადაში უნდა მოხდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა.

**2.4.1.5** რეკომენდირებულია, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩაიწეროს თითოეული მოდულის განმახორციელებელი პირი კვალიფიკაციის მითითებით, რომელიც პრაქტიკის ობიექტზე უზრუნველყოფს მოდულისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებას და პროფესიული სტუდენტების შეფასებას.

პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

გაიცა რეკომენდაცია 2.1.1.1 ინდიკატორთან მიმართებით. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დასაბუთებას თითოეული პროგრამისათვის. გათვალისწინებულია ადამიანური და მატერიალური რესურსი, პრაქტიკის ობიექტების ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ. პროგრამის სახელწოდება „დენტალური საქმის ასისტირება“ ასრულებს იდენტიფიკატორის ფუნქციას - იძლევა სწორ მიმართულებას პროგრამით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, არ არის ბუნდოვანი და შეესაბამება პროგრამის შინაარსს. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით _ 40 პროფესიული სტუდენტი, ერთ მიღებაზე იგეგმება 20 პროფესიული სტუდენტის მიღება. A-C გარემო არის განთავსებული 306-ე აუდიტორიაში, რომელშიც არის 20 მაგიდა და სკამი და ერთი მასწავლებლის მაგიდა სკამით. აუდიტორია აღჭურვილია კომპიუტერითა და პროექტორით. კედელზე განთავსებულია თვალსაჩინოებები და დგას ერთი კარადა საჭირო ინვენტარით. B გარემო უზრუნველყოფილია 20 გამართული კომპიუტერით, რომელიც მიერთებულია ინტერნეტის ქსელში, არის სამუშაო ლეპტოპი მასწავლებლისთვის და პროექტორი. B გარემო საერთოა რამდენიმე პროგრამისთვის, დაწესებულებამ წარმოადგინა B გარემოთი სარგებლობის გრაფიკი, რითაც დასტურდება რომ შესაძლებელია რამდენიმე პროგრამამ გამოიყენოს ერთი გარემო, ისე რომ შესაძლებელი იყოს სტუდენტებისთვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავება. სასწავლო პრაქტიკა დაწესებულებას გატანილი აქვს სრულად პრაქტიკის ობიექტებზე. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 6 სამედიცინო დაწესებულებასთან, პანდემიიდან გამომდინარე, ვირუსის გავრცელების მაღალი რისკის გამო, პრაქტიკის ობიექტები დავათვალიერეთ დისტანციურად ზუმის საშუალებით. 6-ვე პრაქტიკის ობიექტი აღჭურვილია ყველა ინვენტარით, რომელიც დანართის სახით ახლავს გაფორმებულ ხელშეკრულებებს. აღნიშნული შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ რესურსთან. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. უდასტურდებათ როგორც დარგობრივი, ისე შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გააფორმა ორი ახალი შრომითი ხელშეკრულება. პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, თუმცა ინდ. გეგმების შედგენის და სტუდენტთა შეფასების გამოცდილება. გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები 2.2.1.2, 2.2.1.3 და 2.2.1.4 ინდიკატორებთან მიმართებით.

ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსი წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. გაწერილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფის მექანიზმი , მათ შორის სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სსსმ პირების წვდომას პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. საპროგნოზო ბიუჯეტით რენტაბელობის ზღვარია 16 პროფესიული სტუდენტი. ერთ მიღებაზე 20 პროფესიული სტუდენტის მიღების შემთხვევაში, ექსპერტთა შეფასებით-პსდ-ს ფინანსური

რესურსით უზრუნველყოფილი იქნება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. გაიცა რეკომენდაცია 2.3.1.1 ინდიკატორთან მიმართებით.
ექსპერტთა რეკომენდაციაა, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით გაეცნონ საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს, ასახონ მიღებული შედეგები კვლევაში და იხელმძღვანელონ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისას. ასევე გაფორმდეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი ადგილობრივ დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამებს, მოხდეს საუკეთესო გამოცდილების გაზიარება პროგრამის შემდგომში განვითარებისა და დახვეწის მიზნით. ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების თაობაზე ადგილობრივ დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამებს დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტი, რომ ამ ეტაპზე მსგავს პროგრამას არ ახორციელებს არცერთი საგანმანათლებლო დაწესებულება.დაწესებულება არის პირველი, რომელმაც დაიმატა დენტალური საქმის ასისტირება. დენტალური საქმის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს სამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას: კბილის სატექნიკო საქმე, დენტალური საქმის ასისტირება და პირის ღრუს ჰიგიენის საქმე. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ინფორმაცია vet.emis.ge-ზე და უშუალოდ დენტალური საქმის ასისტირებას ამ ეტაპისთვის არ ახორციელებს არცერთი დაწესებულება. შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მოსაზრება და აღნიშნული რეკომენდაცია ამოღებულ იქნა დასკვნის დოკუმენტიდან.
ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, თუმცა გაიცა რეკომენდაცია 2.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით, რათა მარეგულირებელ დებულებაში განსაზღვრულიყო სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი. რეკომენდაციის თაობაზე დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც უჩვენებს აღნიშნული ცვლილების შეტანას რეგულაციაში. მარეგულირებელში მითითებული იყო დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი (კოლეჯის დირექტორი), მაგრამ არ იყო განსაზღვული ის, თუ ვის მიერ შემუშავდებოდა სასწავლო გეგმა. საბჭოს წევრი დაინტერესდა იმით, თუ როგორ და ვის მიერ ხდება პროგრამის შემუშავება. შორენა ჯაფარიძემ გამოთქვა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს პროგრამის შემუშავების რეგულაცია, რომლის ერთ-ერთი ნაწილიც არის სასწავლო გეგმა. მან გამოხატა ეჭვი ცალკე სასწავლო გეგმის შემუშავების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, ვინაიდან, პრაქტიკულად, პროგრამის შემმუშავებელი პასუხისმგებელია სასწავლო გეგმის შემუშავებაზე თავის ჯგუფთან. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმა არის პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტი, სასწავლო გეგმაზე პასუხისმგებელია ის, ვინც პასუხისმგებელია პროგრამის შემუშავებაზე. ექსპერტმა დასძინა, რომ შესაძლებელია სხვადასხვა მხარისგან მომხდარიყო პროგრამის დამატების ინიცირება, განსაზღვრული იყო, თუ რა პროცედურები უნდა ყოფილიყო გავლილი მანამ, სანამ კოლეჯის დირექტორი დაამტკიცებდა მას. სასწავლო გეგმაში პოტენციური ცვლილებების საჭიროების გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ ჩათვალა გაცემულიყო აღნიშნული განმავითარებელი რეკომენდაცია.
პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. საგანმანათლებლო პროგრამა „დენტალური საქმის ასისტირების“ შემადგენელი მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების სარეკომენდაციო მეთოდებს,

რომელიც არის თანამედროვე და უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პრაქტიკის ობიექტებთან მჭიდრო თანამშრომლობა ხელს უწყობს დარგში არსებული სიახლეების გაცნობასა და შემდგომში გამოყენებას.
სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“ განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა. პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ინკლუზიური განათლების სპეციალისტი დაკვირვების მიზნით, შეისწავლის გარემოებას. თუ ფაქტი დადასტურდა ხარისხის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან/პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს დასამტკიცებლად. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკომენტში არ არის განსაზღვრული რა ვადაში მუშავდება დაწესებულების მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. აღნიშნული დებულების მე-17 მუხლის თანახმად, „საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას“. გაიცა რეკომენდაცია 2.4.1.4 ინდიკატორთან მიმართებით. რეკომენდაცია შესრულებულია.
დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რომლითაც განსაზღვრული პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა და მოდულები, რომლის ფარგლებშიც მოხდება სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება. ხელშეკრულებებს დანართის სახით თან ახლავს საჭირო რესურსების ჩამონათვალი, რაც აუცილებელია პრაქტიკის ობეიქტზე კონკრეტული მოდულების განსახორციელებლად. აქვე უნდა ითქვას, რომ პროფესიულ კოლეჯს პრაქტიკის ნაწილი სრულად გატანილი აქვს პრაქტიკის ობიექტზე. ხელშეკრულების თანახმად, პრაქტიკის ობიექტები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პროფესიული დაწესებულება შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირით .პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებს აქვთ სრული მზაობა მიიღონ პროფესიული სტუდენტები ხელშეკრულებით გათვალსწინებულ მოდულებზე, რაც დასტურდება როგორც ხელშეკრულებით, ასევე გასაუბრებით. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. გაიცა რეკომენდაცია 2.4.1.5 ინდიკატორთან მიმართებით, რათა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩაიწეროს თითოეული მოდულის განმახორციელებელი პირი კვალიფიკაციის მითითებით, რომელიც პრაქტიკის ობიექტზე უზრუნველყოფს მოდულისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებას და პროფესიული სტუდენტების შეფასებას. დაწესებულებამ არ გაიზიარა მოცემული რეკომენდაცია, ვინაიდან პრაქტიკის ობიექტებში შესაძლოა შეიცვალოს თანამშრომლები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რადგანაც 5 მოდული მთლიანად გატანილია პრაქტიკის ობიექტზე, ხელშეკრულებით პრაქტიკის ობიექტია ვალდებული, რომ უზრუნველყოს დაწესებულება განმახორციელებელი პირითაც. კანონმდებლობით კოლეჯს აქვს ვალდებულება იმისა, რომ შრომითი ურთიერთობით ყავდეს ეს პირები აყვანილი. ასევე, უნდა მოხდეს მათი კვალიფიკაციის დადასტურება არა მხოლოდ დარგობრივი, არამედ შეფასების მიმართულებითაც. ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის განხორციელებლების ხშირი ცვლა არ მიაჩნია მიზანშეწონილად.
საბჭოს წევრი დაინტერესდა ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმებულია ორგანიზაციებთან, მითითებულია თუ არა სწავლებაში ჩართული პირები. ექსპერტმა დასძინა, რომ განმავითარებელი რეკომენდაციის გაცემა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ხელშეკრულებაში პირები მითითებული არ არიან. ამის საჭიროება დადგა გადარჩევის პროცესში, რამდენიმე განმახორციელებელი პირის კვალიფიკაცია არ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი და დაწესებულებას დასჭირდა დამატებითი ხელშეკრულებით სხვა განმახორციელებელი პირების აყვანა.

ფოტომასალის საშუალებით ექსპერტმა წარმოადგინა სასწავლო გარემო და სასწავლო ინვენტარი.
შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს, რომელმაც აღნიშნა, რომ განმახორციელებელი პირების დარგის კომპეტენციების შემოწმებით დადგინდა კვალიფიკაციის შესაბამისობა. კვალიფიკაცია არ დაუდასტურდა მხოლოდ ორთოდონტიის კუთხით განმახორციელებლებს, მაგრამ ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ თავად პრაქტიკის ობიექტი იზრუნებდა განმახორციელებელ პირებზე. შესაბამისად, ვიზიტისას ხელშეკრულების დანართში მოხდა ცვლილება, რის შედეგადაც მოხდა დარგის კომპეტენციის მქონე კადრის აყვანა.
საკუთარი პოზიცია დააფიქსირა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან აღნიშნა, რომ კოლეჯი პირველია, რომელიც იმატებს დენტალური საქმის ასისტირებას. ინიციატივა წამოვიდა თავად დამსაქმებლების მხრიდან, მათთან მოხდა უშუალო გასაუბრება, ჩატარდა კვლევა მიმართულების შრომის ბაზარზე საჭიროების დასადგენად. კოლეჯი აუცილებლად გაითვალისწინებს რეკომენდაციებს. პროგრამას შეიმუშავებს პროგრამის ხელმძღვანელი ჯგუფთან ერთად, სასწავლო გეგმაზე კონკრეტული პირი არ ყოფილა გამოყოფილი. პროგრამას წარადგენს ხარისხის მენეჯერი და ამტკიცებს დირექტორი. მასწავლებლების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, პარტნიორი კლინიკები თავადვე უზრუნველყოფდნენ განმახორციელებელ პირებს, მატერიალურად ამ პროფესიული მასწავლებლების საბუთები კოლეჯს არ ჰქონდა. პროგრამის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ გაუგებრობების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ პროექტი მოკლე დროში განხორციელდა. უკვე ჩატარდა ტრენინგები, რითაც იღებენ ცოდნას შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. პრობლემა კლინიკებთან დაკავშირებით გამომდინარეობდა იქიდანაც, რომ არის ხარვეზები ჯანდაცვის სისტემაში. სტომატოლოგიურ კლინიკებს ჰყავდათ პროფესიონალები, მაგრამ არ იყო ეს გაფორმებული, შესაბამისად, დაწესებულებას არ ჰქონდა ხელშეკრულებები. ჯანდაცვის განვითარებისა და უფლებათა დაცვის ლიგის ეგიდით მუდმივად ხორციელდება გადამზადება, რათა სტომატოლოგიური კლინიკები გახდეს უსაფრთხო. დაწესებულებამ ინფორმაცია მიაწოდა კლინიკებს, მათ მიერ სწრაფადვე გაფორმდა ხელშეკრულებები. ბაზარზე ძალიან დიდი მოთხოვნაა სტომატოლოგის ასისტენტზე, რაც მიუთითებს მომზადებული კადრების საჭიროებაზე.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგისთვის „დენტალური საქმის ასისტირების (სტომატოლოგის ასისტენტი)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 9**
**წინააღმდეგი: 0**
**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს (ს/კ:417878130) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „დენტალური საქმის ასისტირების (სტომატოლოგის ასისტენტი)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 7).**

**9. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს და სხვა მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა ირმა მეგრელიძემ და იაზონ დანელიამ. ისინი მიესალმნენ დამსწრე საზოგადოებას და ირმა მეგრელიძემ საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 10 დეკემბერს გამოცემული N1353917 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების გზით კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულებაში წინა ვიზიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები. ყველა რეკომენდაცია დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს. ვიზიტის პერიოდში ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

განაცხადის შეტანისას დაწესებულებამ ვერ მოასწრო პროგრამის შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა, წარმოდგენილი იყო განვითარების გეგმა. დაწესებულებას უკვე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N320702/03/181 შპს „ელექტროლუქსთან'', რის საფუძველზეც მეორე მხარე იღებს ვალდებულებას კოლეჯი მოამარაგოს პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით. მოწოდების შემდეგ სასწავლო გარემოში განთავსდება პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი სიმძლავრის კომპიუტერები, ხოლო დანარჩენი საჭირო აღჭურვილობა (კომპიუტერების გარდა ყველა საჭირო ინვენტარი) უკვე კოლეჯშია მობილიზებული.

გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:

**2.1.1.** „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულში გამოჩნდეს თუ რა წილი უჭირავს თითოეულ საგანს, ანუ რომელ საგანზე რამდენი კრედიტია მინიჭებული. გადაიხედოს და ჩასწორდეს ტექნიკური უზუსტობები დაწესებულების ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესში“;

**2.2.1.** სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახლად აყვანილი პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდეს ტრენინგი სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

კომპონენტის ფარგლებში შედგა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ პირებთან პროგრამის მიზნებისთვის აყვანილ ყველა პირს აქვს პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლების შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება. დარგობრივი

მოდულების განმახორციელებელი ორი პროფესიული მასწავლებელი უკვე მუშაობს კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსით რამდენიმე წელი, ერთი ახალი მასწავლებელი აყვანილია ხელშეკრულებით, რომელსაც სჭირდება მოდულების სწავლების მეთოდებში ტრენინგების გავლა.

**2.3.1.** 1. გადაიხედოს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი," რათა ჩასწორდეს დუბლირებული საკითხები მარეგულირებელ დოკუმენტებში;

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ფილიალების რაოდენობიდან გამომდინარე, დაამატოს ხარისხის მართვის სპეციალისტის საშტატო ერთეული და შექმნას ხარისხის მართვის სამსახური.

დოკუმენტში არის წარმოდგენილი დაინტერესებულ მხარეთა კითხვარები, თუმცა არაა გაწერილი პროგრამის შეფასების პროცედურები და შესაბამისად როგორ განხორციელდება შემდგომი პროცესები - ცვლილებები პროგრამაში გაუმჯობესების მიზნით (მაგ: თემატიკის გამრავალფეროვნება, სასწავლო მეთოდების შეცვლა, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლა, საათების გადანაწილება, სასწავლო რესურსის შეცვლა, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლა და სხვა), პროგრამის გაუქმება და ა. შ. „პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარება" ეს თავი მოცემულია დირექტორის N ბრძანებით 04-111 (2018 13.12.2019) დამტკიცებულ ცვლილება N04-191 06.10.2020 დოკუმენტში - ''სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)". აღნიშნულ დოკუმენტებში გვხვდება დუბლირებული საკითხები.

კოლეჯში დირექტორის 23.11.2020 წლის N04-219 ბრძანებით შექმნილია „მოდულური პროგრამების დანერგვის შიდა მხარდაჭერის ჯგუფი", ამავე ბრძანებით განსაზღვრულია ჯგუფის საქმიანობა. ჯგუფს ხელმძღვანელობს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი. ხარისხის მართვის სპეციალისტი არ არის დაბა თიანეთის ტერიტორიაზე.

**2.4.1.** 1. გაიმიჯნოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, რათა მარტივად მოხდეს სასწავლო გრაფიკის/ცხრილის შედგენა, როგორც ინტეგრირებულ, ასევე არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში;

2. ინტეგრირებული სასწავლო გეგმა განაწილდეს 3 სასწავლო წელზე, რათა სტუდენტებისათვის გათვალისწინებული იქნას არდადეგები და დასვენების დღეები. წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამის სწავლება რეალურად გაგრძელდება 4 წელს. შესაბამისად ისეთი შემთხვევები, როგორიცაა კვირეული დატვირთვა 18-20 საათი აღმოიფხვრება;

3. ინტეგრირებული სასწავლო გეგმით გამოჩნდეს „მეცნიერება და ტექნოლოგიების" მოდულის საკონტაქტო საათების კვირეულ დატვირთვაში როგორაა გადანაწილებული მოდულში შემავალი საგნები - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და გეოგრაფია;

4. ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული მოდულების სწავლება ერთდროულად იწყება, სასურველია თუნდაც ერთი მოდული - „მეცნიერება და ტექნოლოგიის" განხორციელება დაიწყოს სწავლის დაწყებიდან ერთ ან ორ თვეში, რადგან სწავლების პირველ თვეებში მეტი ყურადღება გამახვილდეს დარგობრივ მოდულებზე, სტუდენტები უფრო მეტად გაეცნონ მომავალ პროფესიას.

სასწავლო გეგმებში არაა გამიჯნული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, გასაუბრების დროს სასწავლო პროცესის მენეჯერმა განმარტა, რომ სწავლის დაწყების წინ ხორციელდება საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გამიჯვნა, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უმჯობესია თავიდანვე შემუშავდეს გამიჯნული საათებით სასწავლო გეგმა. არ ჩანს თუ ამ მოდულის რომელი სწავლის შედეგის??? სწავლება პროგრამის რა პერიოდში შემოდის. ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლება იწყება ყველა ინტეგრირებული მოდულით, რაზეც ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ასეთი მიდგომა სტუდენტისთვის თავიდანვე უინტერესოს გახდის პროგრამას, სასურველია ისინი ჯერ გაეცნონ დარგს და თუნდაც ერთი თვის შემდეგ შემოვიდეს ინტერგრირებული მოდულები.

საბჭოს წევრი დაინტერესდა იყო თუ არა სასწვლო გეგმაში საწყის ეტაპზე გათვალისწინებული დარგობრივი მოდულების შესწავლა, რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ იყო ერთი მოდული, თუმცა ყველა ინტეგრირებული მოდული იწყებოდა ერთდროულად, სასწავლო გეგმა კი გაწერილი იყო იმგვარად, რომ თითქმის 4 წელზე გრძელდებოდა პროცესი. დასკვნის გაგზავნის შემდეგ კოლეჯმა გაითვალისწინა რეკომენდაციები.

**2.4.2.** 1. სტუდენტთა შეფასების პროცესები იყოს აღწერილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, ხოლო ვერიფიკაციის პროცესები „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“;

2. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ჩართული იყოს პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო ვერიფიკაციის პროცესში დარგის სხვა სპეციალისტი, ეს იქნება დარგის სხვა მასწავლებელი თუ წარმომადგენელი დამსაქმებელი ორგანიზაციიდან;

3. პასუხისმგებელმა პირმა სისტემატურად ჩაატაროს შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან შეფასების სისტემის გაცნობის მიზნით;

4. დაწესებულებამ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენოს პროგრამების განვითარების კუთხით. კერძოდ, ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დაწესებულებას წარმოედგინა ვერიფიკაციის ერთი დოკუმენტი მაგალითისთვის, თუ როგორ ხორციელდება დაწესებულებაში ვერიფიკაციის პროცესი. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა წარმოადგინა ვერიფიკაციის დასკვნა „თმის სტილისტის“ პროგრამისთვის. მარეგულირებელ დოკუმენტებში, რომლებიც ითვალისწინებს შეფასების და ვერიფიკაციის პროცესებს არის დუბლირებული საკითხები, დაწესებულებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელებისაგან. საჭიროების შემთხვევაში პროცესში ერთვება სასწავლო პროცესის მენეჯერიც. უკუკავშირის დროს დაცულია სტუდენტის პერსონალური მონაცემები. სასწავლო პროცესის მენეჯერი ადასტურებს, რომ არ ხდება ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება. შედეგების განხილვა ხორციელდება განზოგადოებულად. ამ მიზნით განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტთან. პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ ჩატარდა შეხვედრები შეფასებებთან დაკავშირებით, თუმცა ცოდნას შეფასების სისტემის შესახებ არ ფლობდა.

დარგის ექსპერტის შეფასებით, დაწესებულებას ყავს დარგის სპეციალისტები, აღნიშნული უდასტურდებათ სამუშაო გამოცდილებითა და სერტიფიკატებით. თუმცა სწავლების გამოცდილება არ ჰქონდა პროგრამის ხელმძღვანელს, რაც გახდა მიზეზი რეკომენდაციის გაცემა შეფასების მიმართულებით ტრენინგის გავლის შესახებ. დარგობრივი მიმართულებით ტრენინგები მიმდინარეობს ამჟამადაც, რომელიც დასრულდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც გაიზიარა ექსპერტების შეფასებები. ხარისხის მართვის სპეციალისტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ კოლეჯმა უკვე დაიმატა საშტატო ერთეული. ასევე, თიანეთის რეგიონში არის კვალიფიციური კადრების მოძიების პრობლემა, მაგრამ ტრენინგებითა და გადამზადებით საკითხის დაძლევა შესაძლებელია. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა თიანეთზე, რათა ინტეგრირებული პროგრამებით ხალხი რეგიონშივე დარჩეს და ადგილობრივად შეძლონ სპეციალობის დაუფლება. კოლეჯი ინტეგრირებული მიმართულებების კუთხით თავიდანვე საპილოტე დაწესებულებას წარმოადგენდა და დღემდე აგრძელებს ამას. სასწავლებელი ცდილობს, იქონიოს მკლევადიანი მომზადება-გადამზადების დიდი სპექტრი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 9**
**წინააღმდეგი: 0**
**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ:236098851) მიენიჭოს უფლება დაბა თიანეთში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**(დანართი 8).**
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ პროგრამაზე 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 28 ივლისიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

**10. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.**
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს და სხვა მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ირმა მეგრელიძემ. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2021 წლის 10 დეკემბერს გამოცემული N1353919 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს (ირმა მეგრელიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე);მაკო ჯაოშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი)) - დაევალა სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის -

„ღონისძიების ორგანიზება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით განახორციელოს ვიზიტი სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი).

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია, ასევე შეიმუშავა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 2021 წლის 20 და 21 დეკემბერს. ჯგუფი მოქმედებდა წინასწარ გაწერილი და შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს, ბიბლიოთეკარს. განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელის, პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების და ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელი პირების ინტერვიუირება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იმით, თუ როგორ დაასაბუთა კოლეჯმა, რომ „ღონისძიების ორგანიზების“ პროგრამაზე იქნება მაღალი ინტერესი წინამძღვიანთკარში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯს წარმოდგენილი ჰქონდა პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომელიც დაყრდნობილი იყო ადგილობრივი ბაზრის კვლევებზე, პროფორიენტაციისა და კარიერის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი იყო სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვების ანგარიშები. დაწესებულებამ დამატებით ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა პარტნიორ საწარმოსთან - ა(ა)იპ „7X7 ფეხბურთის ასოციაცია“ გაფორმებული მემორანდუმი N008. აღნიშნული საწარმო ახორციელებს სპორტულ ღონისძიებებს, მათ შორის საფეხბურთო ჩემპიონატებს, მინი ტურნირებს. მემორანდუმი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლენლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზების“ 30 პროფესიული სტუდენტისთვის საჭიროების შემთხვევში პრაქტიკულ სწავლებას საკუთარ ბაზაზე. საწარმოს ხელმძღვანელმა დისტანციური გასაუბრებისას დაადასტურა, რომ ჩაერთვება პროგრამის განხორციელება-განვითარების პროცესში, პროფესიულ სტუდენტებს ჩართავს სპორტული ღონისძიებების დაგაგმვა-განხორციელების პროცესში. მზადაა პროგრამის კურსდამთავრებულები დაასაქმოს თავის ორგანიზაციაში.

ყველა სტანდარტი იყო სრულ შესაბამისობაში.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა. სასწავლო გარემო გათვლილია ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტისთვის. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება ორი აუდიტორია, ერთი ინტეგრირებული, მეორე არაინტეგრირებული პროგრამის ჯგუფისათვის. ჯამში 30 სამუშაო ადგილია B სასწავლო გარემოში (ოთახი N208 და N213, თითოეულში 15 ადგილი); C სასწავლო გარემოსთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს ფოიე, საკონფერენციო დარბაზი, სპორტდარბაზი, ღონისძიებებისთვის დარბაზი და სპორტული მოედანი ღია სივრცეში. ინტეგრირებული მოდულისთვის „მეცნიერება და ტექნოლოგია“ გამოყოფილია 4 სხვადასხვა სასწავლო გარემო ამ მოდულში შემავალი საგნებისათვის - ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის, ხოლო დანარჩენი ინტეგრირებული მოდულებისთვის ცალკე A სასწავლო გარემო.

ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში გადაამოწმეს აღნიშნული პროგრამისთვის გამოყოფილი სასწავლო გარემოებები, ასევე შეისწავლეს პროგრამის აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები და დაადგინეს, რომ პროგრამის ფარგლებში შეიძლება 30 სტუდენტის მიღება. აქედან 15 ინტეგრირებული, და 15 არაინტეგრირებული სასწავლო გეგმისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და

გამოიყენება სასწავლო პროცესში. შშმ და სსსმ სტუდენტებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით, პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები:
**2.1.1.** 1. გასწორდეს პროგრამაში დაშვებული ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სწავლებაში მითითებულია მინისტრის ძველი ბრძანება ნაცვლად „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებისა.
2. „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულში გამოჩნდეს, თუ რა წილი უჭირავს თითოეულ საგანს, ანუ რომელ საგანზე რამდენი კრედიტია მინიჭებული.
3. გადაიხედოს და ჩასწორდეს ტექნიკური უზუსტობები დაწესებულების ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესში“.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“ აღნიშნული წესში არის ტექნიკური უზუსტობები. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს განვითარების გეგმა, რის საფუძველზეც გეგმავს მარეგულურებელი დოკუმენტების გადახედვას.
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 61 კრედიტია, კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 114 კრედიტია. კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 91 კრედიტია, კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 144 კრედიტია.
**2.2.1** პროგრამიდან, როგორც მოდულის განმახორციელებელი პირი, ამოღებული იქნას ხარისიხს მართვის მენეჯერი.
პროგრამაში 2 მოდულის განმახორციელებელი სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად არის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი. ინტერესთა კონფლიქტის აცილების მიზნით გაიცა რეკომენდაცია. ამ ეტაპზე გამოგზავნილია გადამტკიცებული პროგრამა.
**2.3.1.** 1. გადაიხედოს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი,“ რათა ჩასწორდეს დუბლირებული საკითხები მარეგულირებელ დოკუმენტებში. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის დამტკიცებული გეგმა, სადაც აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია (იხ. დანართი 2 და დანართი 3);
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ფილიალების რაოდენობიდან გამომდინარე, დაამატოს ხარისხის მართვის სპეციალისტის საშტატო ერთეული და შექმნას ხარისხის მართვის სამსახური.
**2.4.1.** 1. გაიმიჯნოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, რათა მარტივად მოხდეს სასწავლო გრაფიკის/ცხრილის შედგენა, როგორც ინტეგრირებულ, ასევე არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში;
2. სასურველია როგორც ინტეგრირებულ, ასევე არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში სწავლების დასაწყისში ისწავლებოდეს „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ მოდული, რომლის სწავლებიდან მიღებულ ცოდნა-უნარებს სტუდენტები გამოიყენებენ დარგობრივ მოდულებში.
3. სასწავლო გეგმაში უცხო ენისთვის კვირეული დატვირთვა 20 და 30 სთ შემცირდეს და განისაზღვროს სტუდენტთა ინტერესებიდან გამომდინარე;

4. ინტეგრირებული სასწავლო გეგმა განაწილდეს 3 სასწავლო წელზე, რათა სტუდენტებისათვის გათვალისინებული იქნას არდადეგები და დასვენების დღეები. წინააღმდეგ შემთხვევაში პროგრამის სწავლება რეალურად გაგრძელდება 3,5 წელს. შესაბამისად ისეთი შემთხვევები, როგორიცაა კვირეული დატვირთვა 8 საათი აღმოიფხვრება;
5. ინტეგრირებული სასწავლო გეგმით გამოჩნდეს „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის საკონტაქტო საათების კვირეული დატვირთვაში როგორაა გადანაწილებული მოდულში შემავალი საგნები - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და გეოგრაფია.
6. ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული მოდულების სწავლება ერთდროულად იწყება, სასურველია თუნდაც ერთი მოდული - „მეცნიერება და ტექნოლოგია“ განხორციელდეს სწავლის დაწყებიდან ერთ ან ორ თვეში, რადგან სწავლების პირველ თვეებში მეტი ყურადღება გამახვილდეს დარგობრივ მოდულებზე, მომავალი პროფესიის გაცნობაზე.
7. ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული მოდულების სწავლება სასურველია დასრულდეს პროგრამის დასრულებამდე ერთი ან 2 თვით ადრე, რადგან დადასტურების კომისიამ დროულად მოამზადოს დასკვნა და დროულად განხორციელდეს კვალიფიკაციის მინიჭება.
სასწავლო გეგმებში არაა გამიჯნული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, გასაუბრების დროს სასწავლო პროცესის მენეჯერმა განმარტა, რომ სწავლის დაწყების წინ ხორციელდება საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გამიჯვნა, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ უმჯობესია თავიდანვე შემუშავდეს გამიჯნული საათებით სასწავლო გეგმა. უცხო ენის (ინგლისური) მოდულის კვირეული დატვირთვა 20-30 საათზეა გათვლილი. ინტეგრირებული სასსწავლო გეგმა განაწილებულია 3 ასტრონომიულ წელზე - 36 თვეზე და კვირეული დატვირთვა ზოგჯერ 8 საათამდე ჩამოდის, არ ჩანს როგორ ნაწილდება „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ მოდულის საკონტაქტო საათები ამ მოდულში შემავალ საგნებზე, არ ჩანს თუ ამ მოდულის რომელი საგანის სწავლება პროგრამის რა პერიოდში შემოდის. ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლება იწყება ყველა ინტეგრირებული მოდულით, რაზეც ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სტუდენტისთვის უინტერესოს გახდის პროგრამას თავიდანვე, სასურველია ისინი ჯერ გაეცნონ დარგს და თუნდაც ერთი თვის შემდეგ შემოვიდეს ინტეგრირებული მოდულები. ინტეგრირებული მოდულების სწავლება სასურველია დასრულდეს პროგრამის დასრულებამდე ერთი ან ორი თვით ადრე, რადგან დადასტურების კომისიამ დროულად მოამზადოს დასკვნა და განხორციელდეს კურსდამთვრებულებზე კვალიფიკაციის მინიჭება.
ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯის დირექტორის 17.09.2021 წლის N04-97 ბრძანებით დამტკიცებულ „სსიპ - ,,ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესს“ და კოლეჯს მისცა რეკომენდაცია, რომ გამოაჩინონ ის, რომ დადასტურების კომისიის შემადგენლობაში შემავალი პირების უმრავლესობა იყოს არა კოლეჯის წარმომადგენლები, არამედ გარედან მოწვეული პირები. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა და ვიზიტის დასრულებამდე აღნიშნული ცვლილება განახორციელა 21/12/2021 წლის N04-165 ბრძანებით.
**2.4.2.** 1. სტუდენტთა შეფასების პროცესები იყოს აღწერილი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, ხოლო ვერიფიკაციის პროცესები „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში“.
2. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში ჩართული იყოს პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო ვერიფიკაციის პროცესში დარგის სხვა სპეციალისტი, ეს იქნება დარგის სხვა მასწავლებელი თუ წარმომადგენელი დამსაქმებელი ორგანიზაციიდან.
3. პასუხისმგებელმა პირმა სისტემატურად ჩაატაროს შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან შეფასების სისტემის გაცნობის მიზნით.

4. დაწესებულებამ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენოს პროგრამების განვითარების კუთხით. კერძოდ, ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.
ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დაწესებულებას წარმოედგინა ვერიფიკაციის ერთი დოკუმენტი მაგალითისთვის, თუ როგორ ხორციელდება დაწესებულებაში ვერიფიკაციის პროცესი. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა წარმოადგინა ვერიფიკაციის დასკვნა „თმის სტილისტის“ პროგრამისთვის. მარეგულირებელ დოკუმენტებში, რომლებიც ითვალისწინებს შეფასების და ვერიფიკაციის პროცესებს არის დუბლირებული საკითხები, დაწესებულებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია.
ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელებისაგან. საჭიროების შემთხვევაში პროცესში ერთვება სასწავლო პროცესის მენეჯერიც. უკუკავშირის დროს დაცულია სტუდენტის პერსონალური მონაცემები. სასწავლო პროცესის მენეჯერი ადასტურებს, რომ არ ხდება ჯგუფში კონკრეტული სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროვება. შედეგების განხილვა ხორციელდება განზოგადოებულად. ამ მიზნით განხორციელდა გასაუბრება პროფესიულ სტუდენტთან. პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ ჩატარდა შეხვედრები შეფასებებთან დაკავშირებით, თუმცა ცოდნას შეფასების სისტემის შესახებ არ ფლობდა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ დასკვნის წარდგენის შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს. მან აღნიშნა, რომ დაწესებეულებას აქვს დიდი შესაძლებლობები და ჰყავს მოტივირებული გუნდი. ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია ადასტურებს, რომ თავს გაართმევენ პროგრამის განხორციელებას. იგი მიუბრუნდა საკითხის განხილვის დასაწყისში დასმულ კითხვას იმის შესახებ, თუ როგორ საბუთდება მაღალი ინტერესი წინამძღვიანთკარში „ღონისძიების ორგანიზების“ პროგრამაზე. დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ კოლეჯში სხვა მომიჯნავე პროგრამების ინტეგრირებაა შესაძლებელი. ადგილზე არის კარგი ეზო-გარემო, სპორტული კუთხე, საოცარი პროგრამებია აგრარული მიმართულებით, რამაც ვიზიტისას დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სასწავლებელს აქვს ნამდვილად დიდი პოტენციალი. პრაქტიკის განმახორციელებელთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ორგანიზაცია ახალია, მაგრამ უკვე მოახერხეს სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება, გამოითქვა მზაობა სტუდენტთა დასაქმების კუთხითაც.
საკუთარი პოზიცია დააფიქსირა დარგის ექსპერტმაც და აღნიშნა, რომ წინამძღვრიანთკარი ტერიტორიულად ახლოს არის თბილისთან, რეგიონი აქტიურ კონტაქტშია დედაქალაქთან, მცხეთასთან და შესაბამისად, გარშემორტყმულია სივრცით, სადაც რესტორნებში თუ სხვა სახის დაწესებულებებში მუდმივი მოთხოვნაა სპეციალისტებზე.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

**კენჭისყრის შედეგები:**
**მომხრე: 9**
**წინააღმდეგი: 0**
**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ:236098851) მიენიჭოს უფლება მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წინამძღვრიანთკარში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **( დანართი 9).**

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 18:20 სთ.-ზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა

**დანართი 1**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | შედუღება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0715 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 38 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 53 |

**დანართი 2**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ვებტექნოლოგიები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვენტექნოლოგიებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 68 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 98 |

**დანართი 3**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სკოლამდელი აღზრდა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. თბილისი შალვა ჯაფარიძის ქ. #8 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 40 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 |

**დანართი 4**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ვეტექნოლოგიები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვეტექნოლოგიებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. თბილისი შ. ჯაფარიძის ქ. N 8 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 24 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)* | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 64 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 94 |

**დანართი 5**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ფარმაცია (სააფთიაქო) |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0916 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. თელავი, ლესელიძის ქ.N1 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 40 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 123 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 153 |

**დანართი 6**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საქართო განათლება |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საქართო საქმეში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0913 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. თელავი, ლესელიძის ქ.N1 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 118 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 180 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 210 |

**დანართი 7**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი) |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია დენტალურ საქმეში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0911 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ. გორი ცხინვალის გზ. N 9 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 40 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |

**დანართი 8**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 20 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | 10 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 148 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 178 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

**დანართი 9**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ღონისძიების ორგანიზება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფ. წინამძღვრიანთკარი |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში). | 15 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 114 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 61 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 144 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 91 |